# სახალხო გაზეთი

№ 981 შაბათი, 31 აგვისტო 1913 წ. № 981

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში— მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


### სახალხო გაზეთი

**ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით**

პირველი სექტემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **3 მან.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

---

კვირას, პირველ სექტემბერს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

**ეგნატე მაკარის ძის ხრამელაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მისი ქვრივი **დარია გიორგის ასული, დაი მისი სოფიო მაკარის ასული ხუციშვილისა** და სიძე მისი **გიორგი აბრამის ძე ხუციშვილი.** წირვა დაიწყება 9 ნახევ. საათზე, შემდეგ წირვისა პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე. 1454

---

**ანასტასია დიმიტრი ბაქრაძის ასული** და დები მისი **ეკატერინე აბდუშელიშვილისა** და **სოფიო ჩხატარაშვილისა ქმრებითა** და **შვილებით** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, დაესწრნენ საფირჩხიის სასაფლაოს ეკლესიაში მათი ძვირფასი ძმის

**კოტე ბაქრაძის**

გარდაცვალებიდან ერთი წლისა, და მისი ასულის

**ქატულიას**

გარდაცვალებიდან ორი წლის წირვასა და პანაშვიდს კვირას, 1 სექტემბერს. 1452

---

**ნინო გიორგის ასული ყავრიშვილისა შვილებითურთ** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი საყვარელი შვილისა

**თამარა ყავრიშვილისა**

გადახდილ იქნება კვირას, 1 ენკენისთვეს, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათ., პანაშვიდი 12 ს. 582

---

დღეს, 31 აგვისტოს, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი **სოფ. ოქიოში** გარდაცვალებულ

**ივანე გიორგის ძე ანდრონიკაშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა დ ნაცნობთ **დედა ელენე ივანეს ასული,** ძმები **ზურაბ** დ **მიხეილ ანდრონიკაშვილები.**

---

**იულიტა ადამის ასული ფორაქიშვილი** იუწყება, რომ

**სოფიო სოლომონის ასული კულიკოვსკაია**

გარდაიცვალა 29 ამა აგვისტოს. პანაშვიდები საღამოს 7 საათზე. ოლღას ქუჩა, 39. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 586

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. **ენგელ-ყელიძ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | ექ.-ქალ. **ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, „606“ და „914“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

## ქ. ტფილისში ვერის საქალაქო პარკთან

ყოველ დღე საღამოს 7—2 ს. ღამისა უკრავს სიმებიანი საკონცერტო ორკესტრი რომის კონსერვატორიის თავისუფალ ხელოვანის **ე. ფაუსტინის** ლოტბარობით. სკრიპკაზე დამკვრელის, სოლისტის **კონევსკის** და ვიოლონჩელზე დამკვრელის **სტეფანჩაკის** მონაწილეობით. 1409

**გაიხსნა პირველ-ხარისხოვანი**

### რესტორანი

**მიმოსვლა შეიძლება მიხეილის პრ.,** კრილოვისა და პასტერის ქ., ოლღას ქუჩის მხრით—ბრევნოვოზნი ქ. ვერის ხიდიდან—სადგური მტკვრის მარჯვენა მხარეზე.

გვაქვს საზღვარ-გარეთის და აქაური სასმელები და ყოველგვარი ცივი სასმელები, სამზარეულო აზიური და ევროპიული. **ფასები ზომიერია.** სამაგალითო გადასახედავი, სალი და გრილი ჰერი.

**ტელეფ. № 14—66.**

რესტორანის ხელმძღვანელი **ჯინჭარაძე.**

---

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლთან**

არსებულ ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი

### წ რ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა

მოუწოდებს ყველას, ვისაც სცენაზე თამაშობის უნარი აქვს, განაცხადოს თავისი სურვილი და მიიღონ მონაწილეობა წრის 1913—4 წ. სეზონის წარმოდგენებში. ამისათვის **ვთხოვთ მოელაპარაკოთ ნ. ჭანკვეტაძეს წრის ბინაზე** მიხეილის ქუჩა № 102. კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 11-1 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე. 1449

---

### ა ხ ა ლ კ ლ უ ბ თ ა ნ
### არსდება ქალთა და ვაჟთა მომღერალთა გუნდი

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ და ჩაეწერნენ კლუბის დირექტორ

**ს. ი. პ რ ე ს მ ა ნ თ ა ნ.**

ყოველ დღე დღით 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ხოლო საღამოთი 9 საათიდან ღამის 11 საათამდე. 1401

---



**პ ი რ ვ ე ლ - ხ ა რ ი ს ხ ო ვ ა ნ ი**

### დ ი დ ი ც ი რ კ ი
### ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 31 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება**

### დიდი ეფექტიანი წარმოდგენა

სრულებით ახალის პროგრამით მთელი ტრუპის მონაწილეობ. თ. ნუ დაივიწყებთ, რომ გამოჩენილი ჰაერის მეფეები, ოთხი ეშმაკი დარჩებიან აქ სულ ცოტა ხანს და შეასრულებენ განსაცვიფრებელ ნომრებს ჰაერში. დღესვე გამოვლენ შეუდარებელი იტალიელი აკრობატები დელა კაზოსთან ერთად. სიცილ-ხარხარის კლოუნები ძმ. ჯინჩენცოები. ცნობილი მუსიკოს-ექსცენტრიკები ბ. ბროკარები, რომ ლნიც ბევრს ახალს კარგს ნომრებს ასრულებენ. ცნობილი მასხარა ბ. რობერტი გაწვრთნილი ვირით „იაშკ თი“ და მოლაპარაკე ძაღლით ტირახით. შეჯიბრება ზღვის ჯამბაზთა 15 ადლის სიმაღლეზე, ელა და კარპის მიერ. **ანონსი:** ხვალ, კვირას, პირველ სექტემბერს გაიმართება ორ განყოფილებიანი წარმოდგენა იაფ ფასიანი და საღამოს.

**დ ა ს ა წ ყ ი ს ი საღამოს 8 ნახევ საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 585. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

---

### ზაქოს ქართული სკოლა

ამით აცხადებს, რომ

**თავისუფალი ვაკანსიები არის ყველა ოთხ განყოფილებაში;** მსურველთ უნდა მიმართონ **სკოლის გამგეს** ქართულ სკოლის შენობაში (ბირჟის ქუჩა, საკუთარი სახლი). **სწავლა უსასყიდლოა.** 1450

---

### საბავშვო ბაღი
### ანასტასია გედევანიშვილისა

ამით აცხადებს, რომ **ბავშვების ჩაწერა** შეიძლება ყოველ დღე **1 სექტემბრიდან** 10 საათიდან 12 საათამდე საბავშვო ბაღის სადგომში (სათავად-აზნაურო გიმნაზიაში, 1455

---

### ახალი წიგნის მაღაზია
**კ. ი. ოცხელისა**

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკოჩაშვილის სახლში გაიხსნა

### უდიდესი წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიას შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიას სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

---

**ბრიუსელის გამოფენაზე 1901 წ. GRAND PRIX.**

### შპალიერის (ОБОИ) ქარხანა
### ძმ. ტარნოპოლებისა.

**განყოფილება იმყოფება გოლ. პროსპ., № 21, ტელ. № 355.**

**მიღებული გვაქვს ძვირფასი საჩუქრები.**

იყიდება რუსეთის ყველა ქალაქებში. ფასი ყველა (სრული ზომის 11¼ არშ.) შპალიერისა, საფაბრიკოთ 8 კ. ვიდრე 6 მ. თოფი. ნიმუშები დაეთმობათ უფასოდ, როგორც ქალაქებში, ისე ქალაქ გარედ მცხოვრებთ.

**ოქროს მედალი ოდესის გამოფენაზე 1910 წ.** 1137

**ოქროს მედალი როსტოვის გამოფენაზე 1910 წ.**

**ოქროს მედალი ეკატერინოსლავის გამოფ. 1910 წ.**

---

**ექიმი** კ ბ ი ლ ი ს **ა. გ. ხოლოდაშვილი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. გოლოვინის პროსპექტი, სახლი მდივნისა, № 12.

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე** იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს., ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

---

### სასურთალოზე

**მშვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

---

### ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარ. და. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—1½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**მ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი. აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა „606“-ით** 1035

---

**ელექტრონის და რენტგენის**
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1023

---

### ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

---

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა დ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

## ქართული პრესა

მგონი ყრუ-მუნჯმა და ორივე თვალით ბრმამაც კი გაიგო, რომ ქვეყნის ზურგზე არსად და არაოდეს ყოფილა ისეთი უტიფარი და სინიდის-გარეცხილი მოკამათენი, როგორიც ჩვენებური „დასელები“ იყვნენ და არიან დღესაც. არავითარი პრინციპი, არავითარი ლიტერატურული ეთიკა, თვით უბრალო ადამიანური ზრდილობაც კი არ ეგუება მათს ბუნებას, თუ გუნებას. მეტიჩრობა, უნიადაგო მედიდურობა, უაზრო ბაქი-ბუქი, საზიზღარი და ფუქსავატი დემაგოგია, ბავშური და ბრიყვი მუქარა, აი მთელი მათი მძიმე არტილერია, რომლითაც მუდამ უშედეგოდ ცდილობდნენ და ცდილობენ ამჟამადაც იდეურ მოწინააღმდეგეთა დამარცხებას. დიახ, ასე იყო, არის და, იმედი გვაქვს, კიდევ დიდხანს იქნება, მაგრამ ის ხერხი, და კილო რომელსაც „განთიადის“ მოჭირნახულენი შეეთვისნენ ამ ბოლო დროს, პირ და პირ გასაოცარი და გაუგონარია თვით უუკიდურეს შავ-რაზმელთა პრესის ისტორიაში კი. ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა მუშათა პროტესტები „დასელთა“ სალოტბარო ჯოხის ქნევით შეთხზულ უაზრო პროტესტების წინააღმდეგ, რაც სრულიად სამართლიანი და ამასთანავე უკიდურეს საჭიროებით გამოწვეული, იძულებითი ღონისძიება იყო. „განთიადის“ კრიმანჭ-კალმოსნებმა ეჭვი შეიტანეს ამ მუშების „მუშობაში“ და მათი გულწრფელი აღშფოთება „რაღაც საეჭვო ლირსების პროტესტის“ სახელით მონათლეს. რასაკვირველია, მათი ამგვარი ფანდი ჩვენთვის გასაოცარს არაფერს წარმოადგენს, რადგან, მათის ბრმა შეხედულებით, ვინც „დასელთა“ მარწუხით დადაღული არ არის, იგი არც მუშისა და არც დემოკრატის სახელის ღირსი არაა. ეს გარემოება, რასაკვირველია, მათი მრწამსის საქმეა—„ნეტარ არიან მორწმუნენი“— ჩვენ ამას არ შევუხარბებით, ხოლო საქმე ისაა, რომ ჩვენი მუშების მათ მიერ ათვალწუნება, თურმე სულ სხვა გვარი მოსაზრებით ყოფილა განზრახული.

„ჩვენ მოვსთხოვეთ „სახ. გაზეთს“—ბრძანებს „განთიადი“— გამოექვეყნებინა, თუ რის, ან ვის წინააღმდეგ აცხადებენ მისი „მუშები“ პროტესტს და ვინ იყვნენ ეს მუშები, რომ თავისივე მოძმეებს გამოეთიშენ და ცილისმწამებელთა ლაშქარს შეუერთდნენ“.

აი, მართლაც, ნიმუში მწერლური დარდიმანდობისა! ვერ გავიგეთ „რის ან ვის წინააღმდეგ აცხადებენ მათი „მუშები“ „პროტესტს“-ო. დასის დამამშვენებელნო, ვერას გიშველით ბიბლიური გველის სიბრძნე-ცუღლუტობა! დიახაც მიხვდით, ძლიერ კარგად გაიგეთ, თუ რის ან ვის წინააღმდეგაც არის მიმართული ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი მუშათა პროტესტები და სწორედ იმიტომ გაიბა უსასო წრიპინი. მაშ, რად დაგჭირდათ ბრიყვი მუქარის კილოთი „მოთხოვნა“ იმათი გვარებისა, „ვინც თავისივე მოძმეებს გამოეთიშენ და ცილისმწამებელთა ლაშქარს შეუერთდნენ“?!

ვიცით, ძლიერ კარგად ვიცით, რომ თქვენ მიერ ათვალწუნებული მუშების „მოსარჯულებლად“ ახლაც არ მოერიდებით ისეთ ღონისძიებას, როგორსაც ამ რვა წლის წინად ხმარობდით იდეურ მოწინააღმდეგეთა „ხალხის მტრად“ გამოსაცხადებლად და ჩასაჩუმებლად. მაშ, სინჯეთ, იქნება ახლა მაინც დაგიფქვათ მაშინ დაყენებულმა წისქვილმა!..

## ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ **პანაშვიდი ილიას სულის მოსახსენებლად.** 29 აგვისტოს, ილიას გარდაცვალების მეექვსე წლის თავზე, მამადავითის ეკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა. მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო ანტონი, ეპისკოპოსი გორისა. წირვის შემდეგ პოეტის საფლავზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დაწყებამდე შინაარსიანი და მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ეპისკოპოსმა ანტონიმ. პანაშვიდის გათავებისას სიტყვა წარმოსთქვა აგრეთვე იარატიშვილმა, რომელმაც აღნიშნა საჭიროება ძეგლის დადგმისა წიწამურში, იმ ადგილას, სადაც ვერაგულად მოჰკლეს დიდი ილია. ხალხი ნაკლებად იყო, რაც აიხსნება იმით, რომ წინა დღით წვიმა დაიწყო და ამ დღეს ნაშუადღევამდე არ გადაუღია. ამას ისიც დაერთო, რომ ტრამვაის მოძრაობა შეწყვეტილია და ქალაქში ეტლებიც ძვირად იშოვება.

✦ **ტფილისში შესამჩნევად აგრილდა.** ღამ-ღამობით ცოტა ცივა კიდეც. 28 აგვისტოს, საღამოს, წვიმამაც მოვიდა, რომელმაც მეორე დღის ნაშუადღევამდე გასტანა.

✦ **ნ. ს. ჩხეიძე,** სახელმწიფო სათათბიროს წევრი, შორაპნის მაზრიდან ტფილისს ჩამოვიდა. ბ-ნი ჩხეიძე დღეს სიღნაღს მიემგზავრება.

✦ **ქუთაისის გუბერნატორი** ა. ი. სლავოჩინსკი ტფილისს ჩამოვიდა. როგორც ხმები დადის, მის ჩამოსვლას კავშირი აქვს ამას წინად გურიაში ხალხის რწმუნებულთა დაპატიმრების საქმესთან.

✦ ქალაქის გამგეობის წევრი **გ. დ. ჟურული** ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც 10 სექტემბერს კიევში დაიწყება, მოხსენებას წაიკითხავს შემდეგს თემაზე: „რუსეთის ქალაქების თვითმმართველობათა საფინანსო პოლიტიკა“.

✦ **ახალი „კლუბი საზამთრო** შენობის გადაკეთებასა და გაფართოვებას უკვე შეუდგა. ამ საქმისთვის გადადებულია 10.000 მანეთამდე.

✦ **ქალაქის გამგეობაში** 2 სექტებრიდან მუშაობა 3 საათამდე იქნება. ზაფხულში ორ საათამდე იყო.

✦ **სასინოდო კანტორის კრება** 3 სექტემბრიდან განახლდება.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** გამგეობის კრება, რომელიც დანიშნული იყო 29 აგვისტოსთვის, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

✦ **ახალ კლუბის** წევრთა საზოგადო კრება 1 სექტემბერს მოხდება. სხვათა შორის, გახხილულ იქნება ი. გ. სულაბერიძისა და კლუბის კანტორის გამგის პ. ნ. ჩიქოვანის შორის მომხდარი ინციდენტი,

## ბათომი

✦ დღეს ფოთის მომღერალთა გუნდი **ა. ვ. მეგრელიძის** ლოტბარობით გამართავს კონცერტს. იმღერებენ გურულ-იმერულ და ქართლ-კახურ სიმღერებს. გუნდი ოცდა ათი კაცისაგან შესდგება. ზოგი სიმღერა შესრულებული იქნება შესაფერი თამაშით, როგორც ფერხული, „ვარირია“, სალეკვო და სხვა.

## ჭიათურა

✦ ერთი თვის წინად გახახლებული წიგნთსაცავ-სამკითხველო ახალ ბინაზე, რკინის გზის სადგურის ახლო, გადაიტანეს. ალაგი ჩინებულია, მხოლოდ სივიწროვე კი არის: ჩვენის ფიქრით, საჭიროა კიდევ ერთი ოთახის მიმატება. აგრეთვე საჭირო იყო ოთახების გალესვა-შეღებვა, მით უმეტეს, რომ საამისოდ საკმაო დრო ჰქონდათ გამგეებს. ამ მხრივ ზოგი ყავახანა უფრო სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. მიუხედავად ასეთი პირობებისა, შიგ საუცხოვო სისუფთავე და წესრიგი არის დაცული. წიგნთსაცავ-სამკითხველოს ჯერ მხოლოდ ჟურნალ-გაზეთები მოსდის; წიგნები თუმცა მოსულია, მაგრამ კატალოგის შეუდგენლობისა და შკაფების უქონლობის გამო ჯერ სარგებლობა არ შეიძლება. საჭიროა დაჩქარება. საჭიროა ტელეფონის დადგმაც.

✦ 19 ივლისიდან 29 აგვისტომდე სამკითხველოთი უსარგებლნია 824 კაცს, ე. ი. დღეში მოდის 20 კაცი.

✦ ერთს თვეს ბევრი აღარ უკლია, რაც აქ გაფიცვა გათავდა, მაგრამ მრეწველობა ჯერ კიდევ არ ჩამდგარა წესიერ კალაპოტში. საქმე ის არის, რომ დღეს შავი-ქვის ბაზარზე უძლიერესი ფირმა—**გელზენკირხენის საზოგადოება** ბრძანებლობს და ეს საზოგადოება არის ერთად-ერთი მსხვილი მყიდველი-გამყიდველი. ამ საზოგადოებას ჯერ კიდევ არ დაუწყია საზოგადო ქვის მიღება და არც არავინ იცის როდის დაიწყებს.

✦ ამ ზაფხულს აქაური კულტურული დაწესებულებანი სილათას ძილმა მოიცვა. კარგა ხანია აღარაფერი ისმის სახალხო უნივერსიტეტისა. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 8 სექტემბერს გამართავს პირველ წარმოდგენას.

## ტფ. ქალაქის საბჭო

28 აგვისტოს კრება

კრება საღამოს 9 საათზე იწყება ქალაქის მოურავის **ა. ი. ხატისოვის** თავმჯდომარეობით. კრებას განსახილველი აქვს სამი საკითხი: შიოევისეულ სახლისა, ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე დელეგატების გაგზავნისა და პეტერბურგში სურსათ-სანოვაგის გასაგზავნად ფულის გადადების შესახებ. რადგანაც პირველი საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი და საჩქაროა, ამიტომ კრება თავდაპირველად მის განხილვას იწყებს.

**შიოევისეული სახლი.**

ამ სახლის ისტორია მკითხველმა უკვე იცის. ამ სახლის საკითხის გამო წინა დღით, 27 აგვისტოს, ქალაქის საბჭოს სამ კომისიასაც ჰქონდა შეერთებული კრება და დაადგინა: 1) დაევალოს ქალაქის ინჟენერ-ტეხნიკებს, შეადგინონ პროექტი ახალ ხუთ სართულიან შენობისა, 2) პროექტის ერთი ნახევარი ახლავე განხორციელებულ იქმნეს: გოლოვინისა და მამადავითის ქუჩის მხარეს კედლები საძირკვლიანად დაინგრეს, ჩაიყაროს ახალი საძირკველი და აყვანილი იქმნას სამი სართული, სადაც „კრუჟოკ“-ს შეეძლება მოთავსება (საკონცერტო და სხვა დარბაზები, რომელიც პოლო ხანს ააგეს, ისევ დარჩეს), მეოთხე და მეხუთე სართული დადგმულ იქმნეს სხვა დროს და 3) ამ სამუშაოს შესასრულებლად დამატებით გადაიდოს 95,000 მან.

ქალაქის გამგეობამ საბჭოს ვრცელი დაბეჭდილი მოხსენება წარუდგინა.

**თავმჯდომარე** აცხადებს: ხმოსნებმა უკვე იციან საქმის გარემოება, ამიტომ აღვნიშნავ მხოლოდ შემდეგს. ამ საკითხს სამი მხარე აქვს. პირველი არის ის შედეგი, რომელიც მოჰყვა შენობის გამირის ჩამონგრევას. დაიღუპა რამდენიმე კაცი. გამგეობამ დაღუპულთა პატრონებსა და დასახიჩრებულთ შესაფერი დახმარება აღმოუჩინა და თანაგრძნობა გამოუცხადა. რაც შეეხება დაღუპულთა ოჯახობისა და დასახიჩრებულთა დაჯილდოვებას, ამ საკითხის გამო ქალაქის გამგეობა ცალკე მოხსენებას შეადგენს და თქვენ წარმოგიდგენთ განსახილველად. საკითხის მეორე მხარე არის ის, რა მიზეზით ჩამოინგრა გამირი და ვინ არიან ამ საქმეში დამნაშავენი. ამ საკითხის გადასაჭრელად მასალა შიგ მოხსენებაშივე მოიპოვება, სადაც ჩართულია აზრი საგანგებო სატეხნიკო კომისიებისა და ახსნა-განმარტებანი თვით შენობის ამშენებელ ტეხნიკოს ჩისლიევისა. საკითხის მესამე მხარე ახლათვ მოითხოვს გამორკვევას. ეს გახლავთ ის, თუ რა ვუყოთ შენობას. გამგეობა ამ ჟამად მომხრეა საბჭოს სამ კომისიის დადგენილებისა და გთხოვთ, ის დაამტკიცოთ.

**ხმ. ბეზობრაზოვი.** შენობის ჩამონგრევის მიზეზებს მთავრობა ძიობს და ის თვით იპოვის დამნაშავეებს. რაც შეეხება შენობის გადაკეთებას, ეს აუცილებლად ახლავ უნდა მოხდეს შეერთებულის კრების დადგენილების თანახმად. სხვა არა იყოს რა, ჩვენ ზნეობრივადაც და იურიდიულადაც მოვალენი ვართ „კრუჟოკ“-ის წინაშე, რომ შენობა დროზე ჩავაბაროთ.

**ხმ. თოიძეც** გამგეობის წინადადებას ემხრობა.

**ხმ. ხარაზიანი** თხოულობს, შენობა სულ დაინგრეს და შედგენილ იქმნეს ახალი პროექტი კონკურსით.

**ხმ. ხუნუნცი.** აუცილებლად უნდა დაინგრეს მთელი შენობა და აგებულ იქმნეს ახალი, კარგ შემოსავლიანი სახლი. განსვენებულ შიოევის ანდერძით ამ სახლმა უნდა შეინახოს ერთი სახელოსნო სასწავლებელი. ამის შესრულება კი შეიძლება მაშინ, როდესაც დიდის შემოსავლის მომცემ სახლს ავაგებთ. ამ ჟამად შენობაზე გახურებული მუშაობაა ღამითაც; ასეთ სიჩქარისა და არევ-დარევის დროს შესაძლებელია მოხდეს იმაზე დიდი კატასტროფა, რომელიც 24 ივნისს იყო. „კრუჟოკ“-ს შეუძლიან სხვაგან გადავიდეს. დავავალოთ ჩვენს ხუროთმოძღვრებს შეადგინონ ვრცელი გეგმა ახალ შენობისა.

**ხმ. ტიგრანოვს** მოსწონს ხუნუნცის აზრი, მაგრამ მის განხორციელებას დღევანდელ გარემოებაში შეუძლებლად სცნობს და ემხრობა გამგეობის მიერ წარმოდგენილ საკომპრომისო წინადადებას.

**ხმ. იოანისიანი** განმარტავს, რომ „კრუჟოკ“-ის წინაშე ქალაქი იურიდიულადაც არის მოვალე და იძულებული შეიქმნება დიდი ჯარიმა გადაიხადოს, თუ პირობას არ აასრულებს.

**ხმ. ხუნუნცი.** „კრუჟოკ“-თან ხელშეკრულობა დადებული არ არის და ამიტომ მას არაფრის გადახდევინება არ შეუძლიან. უკიდურეს შემთხვევაში ჯარიმა გადავიხადოთ და შენობა კი რიგიანი ავაგოთ.

ხმოსნები **ნეპრინცევი, ჭრელაშვილი** და სხვები გამგეობის წინადადებას ემხრობიან.

კრება 28 ხმით წინააღმდეგ ოთხისა უცვლელად ამტკიცებს ქალაქის გამგეობისა და სამის კომისიის შეერთებულ კრების დადგენილებას.

**დელეგატების არჩევა.**

**თავმჯდომარე.** 10 სექტემბერს კიევში დაიწყება ქალაქების წარმომადგენელთა კრება, რომელიც 20 სექტემბრამდე გასტანს. ჩვენ ნება გვაქვს ორი დელეგატი ავირჩიოთ.

საბჭო ირჩევს ქალაქის გამგეობის წევრს **გ. დ. ჟურულს** და ქალაქის მდივანს **მ. ა. ჯაბარს**, რომელთაც კრებისთვის შესაფერი მოხსენებანი უკვე ჰქონიათ.

**ხმ. ხუნუნცი.** მთელი გამგეობა ყოველთვის მოგზაურობაშია. საჭიროა როდისმე მუშაობა.

**თავმჯდომარე.** ეგ სიტყვები შეურაცხმყოფელია, მით უფრო, რომ ეს დელეგატები გამგეობას კი არ დაუსახელებია, არამედ თქვენ, ხმოსნებმა, აირჩიეთ.

**ხმ. იოანისიანი.** კიევის კრებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ამიტომ აუცილებელი არის ასეთ დელეგატების არჩევა, რომელთაც საქალაქო საქმეები შესწავლილი აქვთ.

**ხმ. ხუნუნცი.** ამ ზაფხულსაც მთელი გამგეობა აქეთ-იქით იყო წასული. საქმე იქამდე მიდგა, რომ გამგეობის წევრის მოვალეობას მდივანი ასრულებდა. ერთის სიტყვით იმას ვამბობ, რომ გ. ჟურული და მ. ჯაბარი საქალაქო საქმეების მცოდნენი არიან, მაგრამ უფრო საჭიროა მათი აქ ყოფნა, ვიდრე გაგზავნა.

საბჭო ადგენს, მიეცეს დელეგატებს გზის ხარჯად თითოს 400 მან.

**ფულის გადადება.**

**თავმჯდომარე.** 10 სექტემბერს ტფილისიდან პეტერბურგსა და მოსკოვში საყინულე-ვაგონებით საცდელად გაიგზავნება სურსათ-სანოვაგე. საქმის მოთავეა საყინულეთა მოწყობის საქმის მოღვაწეთა კრების მომწვევი კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც არის მეფის მოადგილის თანაშემწე სენატორი ე. ა. ვატაცი. სენატორი კომიტეტის სახელით შუამდგომლობს, ქალაქმა ვაგონების დასატვირთად სესხად მისცეს 2,000 მან.

საბჭო შუამდგომლობას აკმაყოფილებს.

**შეკითხვა ვერის პარკის გამო.**

**ხმ. ნეპრინცევი** (გამგეობას). გაზეთებში დაბეჭდილია ქალაქის ინჟენრად ნამყოფ ი. კოგნოვიცკის წერილი ვერის პარკის შესახებ. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია, მდინარე ვერა წინად ვერის პარკისა და ეჩმიაძინის მონასტრის მიწების საზღვარზე მიდიოდა, ახლა ის სხვა გზაზე მიდის, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ ქალაქს 300 კუბიკური საჟენი მიწა ჩამოერთვა და ეჩმიაძინის მონასტრის მიწას მიემატაო. რამდენად მართალია ეს ამბავი?

**ხმ. სვეშნიკოვი** (სატყეო-საბაღოსნო კომისიის თავმჯდომარე). კოგნოვიცკის განცხადება სიმართლეს მოკლებულია. დასარწმუნებლად გთხოვთ, დაათვალიეროთ ის ადგილი.

**ხმ. ჭრელაშვილი.** მე ვადასტურებ, რომ მდინარე ვერა იმავ გზით მიდის, რომელზედაც წინად მიდიოდა.

**შეკითხვა ტრამვაის მუშათა გაფიცვის გამო.**

**ხმ. თოიძე.** აგერ სამი დღეა, ტრამვაის მოძრაობა შესწყდა, რამაც ხალხს დიდი შეწუხება მიაყენა. რას ფიქრობს გამგეობა საზოგადოდ ამ გაფიცვისა და კერძოდ ტრამვაის დირექციის დაჯარიმების შესახებ.

**თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი.** დავაჯარიმოთ თუ არა ტრამვაის დირექცია,—ეს საკითხი ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიაში იქნება განხილული. ამის შესახებ ქალაქის გამგეობას კრება უკვე ჰქონდა და თავისი აზრი შეადგინა, რომლის გამოქვეყნებაც ამ ჟამად ნაადრევია, გაფიცვის მსვლელობის შესახებ ვიცი შემდეგი: ორის თვის წინად ტფილისში იყო უსახელო საზოგადოების რწმუნებული რასინი, რომელსაც ტრამვაის მუშებმა მოთხოვნილებანი წარუდგინეს. რასინს მუშებთან მოლაპარაკება ჰქონდა ორიოდე მუხლის შესახებ, დანარჩენს ბრიუსელში განიხილავენ და პასუხს შეგატყობინებენო. ორის თვის განმავლობაში მუშებს არავითარი პასუხი არ მისცეს. 22 აგვისტოს პასუხისთვის სამი დღის ვადა მისცეს და, რადგანაც პასუხი კიდევ ვერ მიიღეს, მუშები გაიფიცნენ. ბრიუსელიდან დაპირებული დეპეშა არ მოსულა. როდის იქნება მოძრაობა აღდგენილი,—ეს გამოურკვეველია. აზრად ჰქონდათ, რამდენიმე ვაგონი ჯარის შემწეობით ემუშავებინათ, მაგრამ დღემდე ეს ვერ მოახერხეს. შესაძლებელია ბრიუსელიდან უსახელო საზოგადოებამ თავისი რწმუნებული გამოჰგზავნოს მუშებთან პირადად მოსალაპარაკებლად.

ბრიუსელიდან მიღებული დეპეშა, უეჭველია, საქმეს უფრო გაამწვავებს: ტფ. საზოგადოებასაც დიდხანს შეაწუხებს და ტრამვაის დირექციის ზარალსაც გაადიდებს. რაც შეეხება დირექციის დაჯარიმებას, ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ, როგორც გავიგეთ, ქალაქის გამგეობას უკვე ჰქონია კრება და დაუდგენია, დირექცია დააჯარიმოს დღეში ხუთას თუმნამდე. გამგეობას აზრად ჰქონია, დირექცია გაფიცვის პირველ ხუთ დღეს არ დააჯარიმოს, რადგანაც ეს დრო [illegible] იყო დირექციის მოსალაპარაკებლად ბრიუსელთან და წესიერების აღსადგენად.

# ახირებული პროტესტების გამო

ერთი ხანია, რაც დაუსრულებელი პროტესტები და წერილები ისტამბება დასელების გამოცემაში. ყველა მხრიდან ამოიღეს ხმა და კორიანტელი დააყენეს თავიანთის ბაქით-ბუქით.

საკვირველი არ არის ამგვარი პროტესტების წერა, ვინაიდან დასელები ერთხელ და სამუდამოდ ნაცად გზას დაადგნენ, როდესაც ნათლად დაინახეს, რომ ნიადაგი უკვე შეერყათ და სხვა გზას ვერ გამონახავდნენ, თუ არა ამ გვარს.

გასაოცარი მხოლოდ ერთია: რამ გამოიწვია ასეთი ლაგამ-აყრილი ღრიანცელი დასელებისა? დაბეჯითებით იმისი თქმა, რომ მუშები, რომელთაც პროტესტებზე ხელი უწერიათ, სრულიად უგუნურნი და უვიცნი არიანო, ცოტა უხერხული უნდა იყოს. ხოლო რაც შეეხება „განთიადის“ მწერლების „პროვოკატორულ“ ხერხს, რომლის მზგავსი მხოლოდ რუსეთის შავრაზმულ პრესაში მოიძებნება, ამას ღირსეული ანგარიში უნდა გაეწიოს.

ადვილად შესაძლებელია, ამ ჩემი სიტყვებისათვის იქ მომაქციონ, სადაც ერთი და იმავე ფორმით ჩამოყალიბებული პროტესტები ისტამბება და ყურთასმენა წაართვეს თავიანთს მკითხველებს: „ზიზღსა და კრულვას ვუცხადებთ „სახალხო გაზეთს“, „იმერეთს“ და შემდეგ იმათ მიმყოლ „თემსა“, ხოლო უღრმეს თანაგრძნობას ფილიპე მახარაძესაო“.

მართლაც ერთ მხრივ საკვირველია. ეს ორი თვეა, რაც პროტესტები ისტამბება და რამდენ სულსაც ამ პროტესტებზე აქვთ ხელი მოწერილი, იმის ნახევარსაც რომ წაეკითხა ზემოხსენებული დაგმობილი გაზეთები, მაშინ აუცილებელი საჭირო იყო თითოეულის 4000—5000 ცალის დასტამბვა. მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ რიცხვის ნახევარიც არ ისტამბება. აშკარად შეიძლება აქედან მკითხველმა თავისი დასკვნა გამოიყვანოს, თუ რამდენად უდევნებიათ თვალყური გამოცემებისათვის.

„მრავალ-რიცხოვანმა“ პროტესტების წერით გახარებულმა „განთიადის“ კალმოსნებმა ლიტერატურულ სამართლიანობასაც კი ზურგი შეაქციეს და ახლად ენა-ამოდგმული ბავშვებივით, რაც მოადგებათ ენაზე ყველას არახუნებენ. თითქმის აღარავინ არაფრად არ მიაჩნიათ და აღარც არავის ინდობენ, ოღონდაც სახელი და დიდება მოიხვეჭონ თავიანთ „პროტესტანტთა“ წინაშე. აგრეთვე არ დაინდეს ლასხიშვილი, შინაური

# შვეიცარია

(დასასრული)*.

შვეიცარიელებს, რასაკვირველია ისეთი ბრწყინვალე მწერლობა და ხელოვნება არა აქვთ, როგორც ფრანგებს და გერმანელებს და ამიტომ მათი ლიტერატურული და მხატვრული ფერაინები ვერ შეედრებიან მათ მეზობლების მონათესავე წრეებს. ძველ მწერლებს შორის მათ სიამაყეს შეადგენს ფილოსოფოსები რუსსო და ლაფატერი, ბუნებისმეტყველი და მგოსანი ჰალლერი და პედაგოგი პესტალოცცი, თანამედროვე სახალხო სკოლის დამაარსებელი. მეცხრამეტე საუკუნის მგოსნებსა და რომანისტებს შორის ყველაზე მეტად შესანიშნავი კელლერი, კ. ფ. მაიერი, შპიტელერი, ჰეერი, ფედერერი და ედუარდ როდია; დიდად ცნობილია აგრეთვე კულტურის ისტორიკოსი ი. ბურკჰარდტი. ყველა ესენი ან გერმანულად სწერდნენ ან ფრანგულად; მაგრამ მათი ქმნილება შვეიცარიის დიადი ბუნების ბეჭედს ატარებს: ის ხან წყნარი, ფართე და ნაყოფიერია როგორც „მამა რეინი“, ხან მტკიცე, ამაყი და მიუკარებელი როგორც ალპების ნაპრალები.

მუსიკოსებმა განსაკუთრებით ხოროს და ორკესტრის პიესებით იჩინეს თავი: მათ შორის ანდრეე, ჰეგარი და ჰუბერი სამშობლოს საზღვრებს იქითაც არიან ცნობილნი.

მხატვრობაში შვეიცარიელები ყველაზე მეტად ბაზელერ ბეკლინს და ჟენეველ ჰოდლერს აფასებენ. პირველი ცნობილი კოლორისტია, მაგრამ თავისი სიმპატიებით იტალიის ბუნებას უფრო ეკუთვნის ვიდრე ალპებისას. მისი სურათები ბაზელის სამოქალაქო მუზეუმშია გამოფენილი. მეორე კი ტიპიური შვეიცარიელია თავისი სიმძიმით, მოუხეშაობით და ფსიხოლოგიური გულწრფელობით.

ალპის ბუნება, მისი მწვანე ნოხი და თოვლის მინდორი, მისი გამჭვირვალე მსუბუქი ჰაერი, მისი მწვერვალების ლაპლაპი მზის ამოსვლისას და ჩასვლისას, მწყემსების და საქონლის ერთად ცხოვრება არავის გადმოუცემია ისეთი მარტივი, ბიბლიური სიძლიერით როგორც ეს დიდმა იტალიელმა მხატვარმა ჯიოვანნი სეგანტინიმ შესძლო. განსაკუთრებით მისი „მყობადობა“, „ყოფნა“ და „სიკვდილი“ დიადი პანთეისტური რწმენითაა გამსჭვალული: აქ ბუნების შემთხვევითი და წარმავალი მოვლენები მარადისობის თვალთსაზრისითაა დანახული.

გასაკვირველი არაა, რომ პირველად შვეიცარიაში გაისმა ხმა, რომელმაც კაცობრიობას ბუნების კალთებისკენ მოუწოდა. გასაკვირველი არაა, რომ რუსსომ, გოეტემ, შილლემ და ბაირონმა ამაღლებული ჰიმნი შესწირეს ამ ტბებსა და მთებს. დედა-მიწის ზურგზე ძნელად მოიპოვება მეორე კუთხე, ამაზე უფრო მომხიბლავი და მრავალმხრივი რომ იყოს.

დასავლეთით, საფრანგეთის საზღვარზე ტყით დაბურული იურაა გაწოლილი. ის ვიწროა, დაახლოვებით ჩვენი სურამის ქედის სიმაღლე და გარეგნული შენობითაც ჩვენს მთაგრეხილებს მოგვაგონებს. მაგრამ სილამაზით ის ამ უკანასკნელთ ვერ შეედრება. ვისაც ჩვენ აჭარა-გურიის მთებში უმოგზაურია, ვისაც უნახავს მისი მდევი, ას წლოვანი ხეები, მისი ქალწულებრივად ხელ-უხლები წიფხარი და ხამხარი, მისი ხავსით შემოსილი ან გადალესილი დიდი ლოდები, ათი და ასი ათასი წლის წინად ზღვის ტალღების მიერ ნალოკი, მისი უსაგირის მსგავსი მწვერვალები და ყვავილებით დაფენილი მდელოები, ვისაც განუცდია მისი ღამის დუმილი, როცა მთების ჩრდილნი უცნაურ მოჩვენებებად იქცევა, ან დამტკბარა მარტოობით ტყეში, სადაც შეიძლება არასოდეს ადამიანს ფეხი არ დაუდგამს, იმას შვეიცარიის იურა ველარ დააკმაყოფილებს: მიტომ რომ ის ბევრად უფრო დამორჩილებული და მოშინაურებულია კულტურის მიერ.

იურას აღმოსავლეთით ფართე, დაცემული ადგილი აკრავს, შვეიცარიის ბარი, ბოდენის ტბიდან ჟენევის ტბამდე გაჭიმული: ის დაფენილია ქალაქებით და სოფლებით და მეტის-მეტად მჭიდროდ არის დასახლებული.

ეს დაბლობი ნელ-ნელა გადადის წინა ალპებში, ეს უკანასკნელნი კი მაღალს ალპებში, რომელნიც აღმოსავლეთ და სამხრეთ ნაწილს ჰფარავენ. აქ არიან აყუდებულნი უმაღლესი მწვერვალები, ოთხვერს ნახევრიანი ბუმბერაზები. შვეიცარიის უდაბლესი ადგილიც კი, ლაგომაჯიორეს ზედაპირი იტალიის საზღვარზე, ერთი მესამედი ვერსით მაღლაა ზღვის ზედაპირზე. მთელი ამ ქვეყნის საშუალო სიმაღლე აღემატება ვერსსა და ერთს მეოთხედს და მას მთაგორების ნამდვილს სამეფოდ ჰხდის.

ალპებს შვეიცარიის მთელი ტერიტორიის ნახევარზე მეტი უჭირავს: მის კვანძს წარმოადგენს სენგოტარდის უნაგირი, რომელიც ხმელთა შუა ზღვის მდინარეებს ჩრდილოეთი ზღვის ბასეინიდან ჰთიშავს.

როგორც კავკასიისათვის მთაგრეხილები, ისე ალპებისთვის მთის ჯგუფები, ტყუპები და ცალრქოსანი მწვერვალებია დამახასიათებელი. მათ ერთი მეორეს აშორებს მდინარის ხეობა, ყვავილებით მოქარგული ველი, ქვაბის მსგავსი, ამწვანებული მდელო, ვიწრო უღელტეხილი ან გრძელი, მიხვეულ-მოხვეული ყელი. ერთი ასეთი ყელი აქვს მაგ. გათხრილი მდინარე აარეს ბერნის ალპებში: ნახევრად ბნელი, მზის სხივებისთვის მიუწდომელი კალაპოტი, ორივე მხრით მაღალი სალი კლდეებით შემოზღუდული. ალაგ-ალაგ მდინარე მთელი თავის სიძლიერით ეხეთქება ამ შეურყეველ კედლებს, ბურღავს და ლოკავს მის საძირკველს. ხვრელიდან გამოსვლის შემდეგ, დაბლობებში კი ის ხელახლა მშვიდდება: ის მიმდინარეობს წყნარი და შეუშფოთებელი, რათა თავისი ტალღები ბრიენცის და ტუნის ტბებში დაწმინდოს. ამ ტბების შემდეგ ის გამოუთქმელად კამკამი და მწვანეა. და როცა მის ნაპირზე სდგეხარ და თვალს მის მსვლელობას ადევნებ, შენი გონება სწვდება გოეტეს „მეთევზის“ სიღრმეს, მის პანთეისტურ შინაარსს. შვეიცარიის მდინარეებს ალაგ-ალაგ ჩაქუხა სწყვეტს ან ჩანჩქერი. ზოგიერთი ჩაქუხა თხელია და გამჭვირვალე ძვირფას ლეჩაქივით, ზოგიერთი კი ძლიერი და მძიმე გამდნარ და თან ცივს ლითონივით. ამ უკანასკნელთ შორის ყველაზედ მეტად შესანიშნავია რაიხენბახი ბერნის ალპებში და რეინის ჩანჩქერი შაფჰაუზენთან. რაიხენბახი უზარმაზარი სიმაღლიდან ვარდება ჭექითა და ქუხილით. თავის გარშემო ის აყენებს წყლის კორიანტელს, წყლის ბურუსს, რომელიც ასველებს და ჰბანს მიდამოებს. რეინის ჩანჩქერი ნაკლებ მაღალი, მაგრამ სამაგიეროდ ბევრად უფრო ფართეა. ის ჰქმნის ფერების და ტონების შეუდარებელს სიმფონიას: მის ხმაში ხან დაჭრილი მხეცის ღმუილი გესმის, ხან გამარჯვებული ხარხარი; მისი ტალღები ალაგ-ალაგ მწვანეა გველი ვეშაპის ზურგივით, ალაგ-ალაგ თეთრი ზღაპრული რაშის ფაფარივით.

მდინარეებს უმეტეს ნაწილად გლეჩერები ასაზრდოებენ, ეგრედ წოდებულ ყინულის პერიოდში მთელი ეხლანდელი შვეიცარია გლეჩერის უზარმაზარს მინდორს წარმოადგენდა: ეხლა კი მისი მეუფება ერთს ვერსზე ქვევით აღარ ჩამოდის. ათასჯერ მეტი გლეჩერი წევს ალპების კალთებსა და ხრამებში. ზოგიერთი მათგანი ძალიან დიდია: მაგ. დიდებულს „ალეჩს“ ბერნის ალპებში 20 ოთხ-კუთხი ვერსი უჭირავს. მათ ზედაპირზე სიარული ძალიან სახიფათოა, განსაკუთრებით ზამთარში, როცა ყინულის ნაპრალები ფიფქი თოვლითაა დაფარული. გამოუცდელი მოგზაური ამას ვერ ამჩნევს და ადვილად იღუპება პირდაპირ უფსკრულში. ზაფხულში გლეჩერის ზედაპირი ჩვეულებრივად მთიდან ჩამოხვეტილი მიწით და ქვიშითაა დაფარული, ნაპრალის კედლები კი ლურჯია მოჯადოებულ აკლდამასავით.

ძლიერ საშიშია აგრეთვე თოვლისა და მთის ზვავი: ბევრი მგზავრი დაუსამარებია მათ, ბევრი ტურისტთა ქარავანი, ბევრი სოფელი. ბევრი სიცოცხლე შეუწირავს მთის ყვავილებსაც, განსაკუთრებით მშვენიერ ალპიურ ვარდს, რომელიც ძლიერ მაღლა იზრდება, კლდის ფერდოებზე და ხშირად უფსკრულში ისტუმრებს გაბედულ მაძიებელს.

მაგრამ არავითარს ხიფას და სიძნელეს არ შეუძლიან შეამციროს ის ბედნიერება, რომელსაც გრძნობს ადამიანი, როცა ალპეშის ერთ-ერთს მწვერვალზე ადის. მის თვალწინ იშლება სურათი, რომლის სიდიადეს ვერაფერი შეედრება ამ ქვეყნად. განსაკუთრებით აღმებეჭდა მახსოვრობაში ორი მგზავრობა: ერთი ფაულჰორნზე ბერნის ალპებში, ხოლო მეორე პილატეზე ლუცერნის ახლო. პირველი მათგანი ორ დღეს გაგრძელდა. მეორე დღეს კარგა ხანს თოვლში გაკვალული ბილიკით მომიხდა სიარული. შუადღისას ცა მოულოდნელად მოიქუშა. ყოველი მხრიდან საშინელი სისწრაფით ღრუბლები წამოვიდა: ისინი გაწვნენ ჩემ წინ აყუდებული მთების ფართო ფერდობებზე და მრავალფეხიანი ცხოველებივით გაექანნენ მისი მწვერვალებისკენ. უცებ იელვა და გაისმა მკვეთრი ჭექა-ქუხილი. მთებმა ხანზარით უპასუხეს. ჩქარა ხშუილით სეტყვა და წვიმა წამოვიდა... მაგრამ გამოიდარა ისევე ჩქარა, როგორც გაავდარდა; ცა განათდა, ღრუბლები გაიფანტა, თითქო მთებში ჩაიმარხნენ. აიგერმა თავისი ჭაღარა, ვერცხლის გვირგვინიანი თავი გამოაჩინა, ხოლო იუნგფრაუმ თავისი ყირმიზი, ქალწულებრივი მკერდი. ქვევით კი გიჟმაჟი ლუჩინეს მდელომ გაიცინა.

პილატე განმარტოებული, მრავალკბილოვანი ალპია, ჩვენი კარჩხლის მთის მსგავსი, როგორც ის შორიდან მოსჩანს*). მის დასაძლევად ჩქარს მოსიარულეს რამოდენიმე საათი ეყოფა. პირველად ბილიკი ტყით მიდის. ალაგ-ალაგ ტოტებსა და ფურცლებს შუა მოსჩანს ფირვალშტედიტის ტბის

*) იხ. „სახ. გაზ.“ № 980

*) სამწუხაროდ კარჩხლის მთის დაახლოვებით ვერ ვიცნობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიტყვა. ყველას დაგმობა მოინდომეს და ნაცარ-ქექიობა უწოდეს. ნათქვამია: თავის ქება, კიტრადაც არა ღირსო. ამათაც ასე მოსდით, აბა, გვიყურეთ, ჩვენ კარგები ვართ და სხვები კი უვარგისებიო.

მაგრამ ერთია ფრიად აღსანიშნავი, რომ „განთიადის“ მწერლებთან საუბარი მხოლოდ წყლის ნაყვა იქნება. კედელს რავდენიც გინდა ცერცვი შეაყარე. მათი ერთად-ერთი აზრი ის არის, დემაგოგიის საშუალებით ჰკაფონ გზა და ამით შავი თეთრად დაანახვონ, რომ ღირსეული ადგილი დაიჭირონ თავისიანებში. ამისათვის არის, რომ ამაყად გაჰყვირიან: ხომ ხედავთ „სახალხოელნი“ რა ნაცარ-ქექიები არიანო, სამაგიეროდ ჩვენ „გოლიათები“ ვართო.

ასეთი დავა გამოიწვია ილიას ტრაღიკულმა სიკვდილმა და საკითხიც ამის გარშემო ტრიალებს. უმთავრესი ყურადღებაც „პროტესტანტ“ მუშებს სწორედ ამისათვის უნდა მიექციათ, რადგან თავი და ბოლო აქ გამოჩნდებოდა, თუ რავდენად აუცილებელი საჭირო იყო ასეთი ახირებული პროტესტების გამოცხადება. შეუძლებელია იმისი თქმა, რომ ყველა მეპროტესტენი ამ საქმესთან ახლო იდგნენ და გულდასმით ადევნებდნენ თვალ-ყურს უკანასკნელ ხანამდე ჟურნალ-გაზეთებში ამა თუ იმ მხარის წერილებს ილიას მკვლელობის შესახებ.

ხოლო იმისი თქმა კი შეიძლება დაბეჯითებით, რომ პროტესტებზე ხელისმოწერა სულ რამდენიმე კაცის რჩევითა და დარიგებით ხდება. ვერც ერთი მუშა, რომელსაც კი სწამს პატიოსნება, უარს ვერა ჰყოფს, რომ ეს ასე არა ხდება. და განა აქ საძრახისი და სასაცილო არის რამე? სრულიადაც არაფერი. ყოველთვის ხდებოდა ხოლმე წინადაც ასე და შემდეგაც მოხდება. ერთი მუშა საპროტესტო ქაღალდით ხელში ჩამოუვლის ქარხანაში დანარჩენ მუშებს და ურჩევს: ამაზე ხელი მოაწერეთ, რომ ზიზღი გამოუცხადოთ იმათ, ვინც ჩვენ გვაბრალებს ილია ჭავჭავაძის მოკვლასაო. ვისაც „გამბედაობა“ ცოტაოდენი კიდევ შერჩენია, რომ ასეთი ამაღელვებელი სიტყვები ამხანაგისაგან მიმართული იწყინოს, იგი დაუყოვნებლივ ხელს მოაწერს. ის ენდობა თავის ამხანაგს, რომ მან ხისწორით გადასცა ყველაფერი. ამგვარია პროტესტებზე ხელის მოწერის ფორმა.

აქ უფრო აშკარად მუშათა უმეტესობის გულუბრყვილობა შეიძლება სჩანდეს, ვიდრე უვიცობა, რადგან არიან ბევრნი ისეთები, რომელნიც ყოველდღიურ გამოცემებს თვალყურს ვერ ადევნებენ და, მაშასადამე, იმათ არც ექნებათ გათვალისწინებული, თუ ილია ჭავჭავაძის შესახებ რა იწერებოდა. მაშინ, ცხადია უნდა მიენდოს თავის მოწინავე ამხანაგს. თუ რამდენად სანდო ყოფილა ესა და რამდენად სიმართლით ემსახურება ნაკისრს საქმეს, თვით ამ პროტესტებიდანა სჩანს აშკარად.

სადაო საკითხი ამგვარია: 1905 წლის „მოგზაურის“ ერთ-ერთ ნომერში კორესპონდენცია იყო დასტამბული საგურამოდან, რომელშიაც ილია ჭავჭავაძე მჩაგვრელადა და ბარბაროსად იყო გამოყვანილი. ვისაც კი მართლა საქმის ბურუსში გახვევა არ უნდა, მან კარგად უწყის, რა დროც იყო 1905 წელი. ამ წლიდან აღმოცენდა მრავალი ბოროტმოქმედება, ამ დროსა ხდებოდა მრავალი საზიზღრობა თავაშვებული პირებისაგან, რომელთაც ისარგებლეს შემთხვევით და გარემოებაც ხელს უწყობდათ. მაშინ თვითეული ადამიანი ქათმის საფასურადაც არა ღირდა. ყველგან სისხლის ტბა იდგა. ავისა და კარგის გამრჩევნი ცოტანიღა იყვნენ და ვინც იყვნენ, ისინიც შორი-ახლოდან უყურებდნენ. საითაც გაიხედავით, ოდესღაც ყოფილ „ამხანაგს“ და შემდეგ პარტიიდან განდევნილს, ყველას „პარტია“ ეკერა პირზე. მრავალნი განდევნილნი, რომ ცოდვა მოენანიებინათ პარტიის წინაშე, თითონა სჯიდნენ მართალსა და მტყუანს. ერთი სიტყვით, აირია მონასტერი.

აი, ამ დროს, პუბლიცისტმა ფილიპე მახარაძემ აღარ იკმარა „მოგზაურის“ (№ 13) კორესპონდენტის მიერ წამოყენებული „დაურღვეველი საბუთები“ და თითონაც უძღვნა ცალკე წერილი „მოგზაურის“ ორს (№№ 18—19) ნომერში, რომ უფრო კარგად გაენადგურებინათ ჭავჭავაძის პიროვნება.

რათა მკითხველი უფრო კარგად გაეცნოს, მოვიყვან „მოგზაურიდან“ ფ. მახარაძის მიერ ნახმარ ფრაზებს ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ.

1. „ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება **არა როგორც ქართველ მწერალთან,** *) არამედ ქართველ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისთვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებინა. ჩვენ არა გვგონია, საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი **სასტიკი მემამულე,** რომელსაც ასე ულმობელად მიჰყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა“.

2. „კაცი მთელ თავის სიცოცხლეში იმას სცდილობდა, რომ თავისი **ბატონობა განემტკიცებინა,** რომ რაც შეიძლება მეტი წილი **გლეხის ნაოფლარისა** ჩაეგდო ხელში, რისთვისაც იგი გლეხ-კაცობას შევიწროებას აყენებდა, რისთვისაც იგი **არარაფერს არ ზოგავდა,** ოღონდ კი თავის მიზანი განეხორციელებინა“.

3. „თავ. ილია ჭავჭავაძე გამოდის და **დაურცხვენლად** ადამიანის ხელშეუხებლობაზე, პიროვნების პატივისცემაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობს. ის, ვინც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას **ფეხქვეშ სთელავს და ჯიჯგნის,** იმის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პატიოსან ადამიანში მხოლოდ **ზიზღს იწვევს**“.

4. „მან არ იცის რას ჰქვიან გაჭირვებული კაცის შებრალება. თუ კერძო საკუთრების პრინციპის დაცვაზე მიდგა საქმე, იგი მზადაა მას ანაცვალოს ყოველივე, **დაჰკარგოს სინიდისი, პატიოსნება და პრინციპს კი არ უღალატებს**“.

5. „**საჭიროა ნათლად დავანახვოთ მკითხველს, თუ ვინ ადგას სისტემატიურად ბეზღობის, ცილისწამების და ჯაშუშობის გზას**“.

6. „თავ. **ჭავჭავაძემ გლეხები დააბეზღა, ჯაშუშობა გასწია თავისი ნივთიერი ინტერესების გულისათვის**“.

7. „**სამწუხაროდ ჯაშუშობის როლი ჭავჭავაძეს ზედ-მიწევნით აქვს შესწავლილი და შესისხლხორცებული**“.

8. „**ჩვენ არა გვგონია, რომ ამაზე მეტი ბეზღობა ოდესმე ჩაედინოს ბეზღობაში და ჯაშუშობაში განთქმულ გრინგმუტს, მეშჩერსკის, კომაროვს და თუ გინდ პალმს**“.

*) ხაზი ყველგან ჩემია. ახ.-ამწ.

აი, ასე დაუნდობლად, ერთის კალმის მოსმით ფეხით გაითელა საუკეთესო მამულიშვილი. როგორც ზევითაცა ვთქვი, მოძრაობის ხანაში ხალხმა სულ სხვა ფერი და ხასიათი მიიღო. იმ დროს ყველა გაფაციცებით დამნაშავეს ეძებდა, რომ ძველი ანგარიში გაესწორებინა მასთან და აკი კიდეც აღმოაჩინა „მოგზაურმა“ დიდი დამნაშავე და შეუგნებელმა ძალებმა კიდეც ქვეყანას მოაშორეს „მტარვალი“.

განა ამაში თვით „განთიადის“ მწერლებსა და მეპროტესტე მუშებს ეჭვიც კი დაებადებათ, რომ ეს ასე ხდებოდა? იმ დროს ერთი მითითება საკმარისი იყო „ეს მავნე კაციაო“, რომ წუთისოფელს გამოესალმებინათ სრულიად უდანაშაულო ადამიანი.

პროტესტები დიდის რიხით არის შედგენილი. ყოველივე სიტყვა, რომელიც შეიძლება მოწინააღმდეგის გულის მოსაკლავად, ნახმარია. ხელის მომწერნი სცდილობენ, რომ ერთმანეთს არ ჩამორჩნენ და თავიანთი გვარები მაგრა ჩაბეჭდონ გაზეთის ფურცლებზე. მაგრამ ვეკითხები იმ ღენერლებიან ჯარს (როგორც ნოქრების ერთ პროტესტშია ნახმარი), რატომ გაურბიან მართალს გზას, თუ კი იგინი სიმართლის მქადაგებლები არიან? რატომ არა ჰსურთ საქმეს კარგად ჩაუკვირდნენ და გამონახონ, ვინ არის აქ უმთავრესი დამნაშავე? როგორცა სჩანს, გამოძიება და საქმის დაკვირვება უფრო საძნელო ყოფილა, ვიდრე ღენერლის მიერ ნაბრძანები და ჯარისაგან კიდევ შესრულებული.

ბოლო დროს ზემოხსენებული დავა (ილიას მოკვლის შესახებ) ხელახლა ასტეხა ფ. მახარაძემ. მახარაძემ ჩვეულებისამებრ იგივე გაიმეორა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, რაზედაც შესაფერი პასუხი გასცა ფ. გოგიჩაიშვილმა და მოაგონა „მოგზაურში“ ნახმარი ფრაზები. აქ ყველა პატიოსნებით აღსავსე კალმოსანი დასთმობდა თავის სიჯიუტეს და გაჩუმდებოდა, რადგან, როდესაც ფილიპე მახარაძემ წერილი დასტამბა, იმ დროს ადამიანის სიცოცხლე ჩალის ფასადა ღირდა. ფ. მახარაძე ასე არ მოიქცა. იგი დროებით ჩაჩუმდა და ამ სიჩუმეს მოჰყვა დაუსრულებელი პროტესტები.

ვთქვათ, კორესპონდენტის ბრძანებით, ილია ჭავჭავაძეს დიდი ცოდვა მიუძღვოდა ხალხის წინაშე და ამიტომაც სინათლეზე გამოჰფინეს მისი მოქმედება. განა უცოდველები არიან თვით ამის „გამომქვეყნებელი“ ფ. მახარაძე და მისი კამპანია? სადაც სამართალია, ის უფრო მიუტევებელ ცოდვად უნდა ჩაითვალოს, რაც მახარაძემ ილიას წინააღმდეგ ჩაიდინა.

აი, ამიტომ მოვალე იყო ყველა შეგნებული მუშა, ამისათვის შესაფერი ანგარიში გაეწია და შესაფერივე მსჯავრი დაედო. როდესაც საქმე საზოგადო მიმართულებას ღებულობს, მაშინ იქ შენ-ჩემობას ალაგი არ უნდა ჰქონდეს; ვინც დამნაშავეა, დეე, დამნაშავედ იქმნას ცნობილი. სჯობია ერთი კაცი იყოს დამნაშავე, ვიდრე მთელი ხალხი.

უკანასკნელად კამათი ფ. მახარაძისა, „სახალხ. გაზეთისა“ და ფ. გოგიჩაიშვილის შორის იყო ატეხილი აქ არავისი რწმენა არ ილახებოდა და არც რომელიმე პარტიას ადებდნენ ხელს ილიას მოკვლაში. პირიქით ნათლად ირკვევოდა მტყუან-მართალი. საქმის სწორე მოსიყვარულე, სწორედ აქ, ამ ადგილას, უნდა შეჩერებულიყო. მეპროტესტე მუშებმა კი საქმე უკუღმა შემოატრიალეს. ფ. მახარაძე მთლად კუნჭულში მისვეს და თითონ მიიღეს თავიანთ თავზე მთელი საქმის დაცვა.

ზოგიერთნი საპროტესტო წერილებში აცხადებენ: ღმერთი, რჯული, რომ ჩვენ აპეკუნი არა გვყოლია, ჩვენ საკმაოდ შეგნებულნი ვართ და პროტესტებიც შეგნებულად არის მოძღვნილიო. ამ კურთხეულს ქვეყანაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს: ზოგგან შეგნებულად იწერება პროტესტები, ზოგგან ძალათი აწერინებენ ხელს, ზოგგან ხუთი წლის ბავშის გვარია გამოცხადებული და ზოგგან კიდევ დაუკითხავად აწერენ ხელს. ხან ისე იქნება, ხან ასე, ეს სულ ერთია, რადგან ჩვეულებრივი მოვლენაა. უნდა ითქვას, ასეთი საშუალების ხმარება იმის მომასწავებელია, რომ „განთიადელები“ უკვე უძლურაეა სცენზენ თავს და ამით „მობილიზაციას“ ახდენენ, რათა შეიტყონ კარგად რამდენია იმათკენ გადახრილი, მართლა ხომ არ ერყევათ ნიადაგი და სხვა.

ამ გვარივე პროტესტები 1906 წ. გაზეთ „მუშის“ წინააღმდეგაც იყო მიმართული, მაგრამ იმ დროსაც წყლის ნაყვა გამოუვიდათ. „მუშის“ მოაზრეებმა თავის დრომდე მტკიცედ შეინარჩუნეს სიმაგრე. მეპროტესტენი კი პირში ჩალა-გამოვლებულნი დარჩნენ.

საპროტესტო წერილებში დღემუდამ იმას გაიძახიან: „ცილსა გვწამებენ და ილია ჭავჭავაძის მოკვლას ჩვენ გვაბრალებენო“. აქ ერთის მხრივ თუ ჩვენა გვლანძღავთ, მეორეთი თქვენს თავს ილანძღავთ. საკვირველია, თქვენ როდის გადაგაბრალეს, ან და სად ამოიკითხეთ ასეთი ამბავი? „ჩვენ თეთრსა და შავს კარგად ვარჩევთ, ჩვენ აღარ მოვტყუვდებითო“, ამ სიტყვების შემდეგ როგორღა გეკადრებათ ასეთი ჭორიკანული ცილისწამება? თქვენ რა შუაში ხართ, როდესაც ამბობენ „მოგზაურში“ დასტამბული წერილების შედეგი იყო ილიას მოკვლაო,—ამას თქვენ თავზე რატომ ღებულობთ?

კიდევ გავიმეორებ. იმ დროს ათასი ჯურის ადამიანები იროდნენ და ხალხის ბედ-იღბალსა სწყვეტავდნენ და სწორედ ამ ნაძირალა ადამიანებმა ისარგებლეს „მოგზაურით“. თქვენ კი აქ თქვენ თავსა ჰხედავთ დამნაშავეთ და შიგ ერევით.

მეპროტესტე მუშების მოვალეობას შეადგენდა ჯერ ანგარიში გაეწიათ უკანასკნელად მომხდარ დავისათვის ფ. მახარაძისა, „სახალხო გაზეთისა“ და ფ. გოგიჩაიშვილის შორის და ნათლად დაენახათ ყველაფერი. ყველა სიმართლის მოტრფიალე უეჭველად ასე უნდა მოქცეულიყო.

აქ უმთავრესი დანაშაული „განთიადის“ მწერლებს მიუძღვით, რადგან ყველაფერი ეს უკუღმა დაანახვეს თავის მკითხველებს. თავიანთ თავის მეტი მართალი და სპეტაკი არავინ მიიჩნიეს. სხვა ყველა ყალბად მონათლეს, ხშირად უწმაწურის სიტყვებითა და დაცინვის კილოთი უხდებათ მოწინააღმდეგეებთან გალაშქრება. ყოველ დღე იღრიჯებიან, ჯამბაზობენ და თვალთმაქცობენ, რომ ამით თავიანთ მკითხველებში დიდი ბაზარი მოიპოვონ.

ზემოხსენებულმა მწერლებმა ამ დღეებში „სახალხოელებს“ უკიჟინეს,—თქვენი რვა მუშა დიდ რამედ მიიჩნიეთ და ჩვენი უთვალავი მუშები კი არაფრად ჩასთვალეთ და ფეხქვეშ გასთელეთო. ამგვარ საქციელს მხოლოდ „პროვოკაცია“ ჰქვიან, რომელიც ხშირია შავრაზმელების გამოცემებში.

„განთიადის“ მწერლები სასაცილოდ იღებენ „სახალხოელების“ ორიოდე მუშას და უგინებენ სათაყვანებელ რწმენას. ამისათვის დიდი სირცხვილი ამ გვარ კალმოსნებს! ყველა მხარე თავისი რწმენის ღრმა პატივისმცემელი უნდა იყოს, მაგრამ ამავე დროს პატივისმცემელი უნდა იყოს თავის მოწინააღმდეგის რწმენისაც, რადგან თუ ერთი მეორეს შეურყვნის რწმენას, ასევე მოიქცევა უკანასკნელიც და ეს კი ვერაფერი საკადრისია, იმათთვის ვისაც თავი მოაქვთ ქვეყნის მარილად.

ყველა კალმოსნებმა კარგად უნდა უწყოდნენ, რომ თუ რაიმე ანგარიშები აქვთ ერთმანერთში, მხოლოდ ანგარიშითვე უნდა გაუსწორდნენ და რაც შეეხება რწმენის შებღალვას, ეს გარეცხილი ადამიანების საქმეა, მხოლოდ ჯამბაზებისა და ტაკიმასხარების ხელობაა.

სწერეთ „განთიადის“ კალმოსნებო, რამდენიც გენებოთ; ვნახოთ ამით რა ლელოს გაიტანთ. იცრუეთ, იტყუეთ, როგორც თქვენ გესიამოვნებოდეთ, მხოლოდ იცოდეთ კი, როდესაც ჩვენი მომავალი შთამომავლობა გადაფურცლავს და ამოიკითხავს თქვენ მიერ ნაწერებს, მაშინ თვით იგინი დასდებენ შესაფერ მსჯავრს და გიწოდებენ ღირსეულ სახელსაც.

ახოთ-ამწყობი.

---

სარკე, დილის თხელს ბურუსში გახვეული. მაგრამ აი ტყე თავდება და იწყება უჩრდილო, ხრიოკი გზა. მთის მწვერვალთან (ორი ვერსის სიმაღლეზე ზღვის ზედაპირიდან) ეს გზა გვირაბში შედის. გამოუთქმელია ის სულიერი მდგომარეობა, ამ გვირაბიდან ამოსვლის დროს რომ განიცდის: ამ განცდაში არის განცვიფრებაც, კმაყოფილებაც და უდიდესი ნეტარება. უცებ, სრულიად მოულოდნელად შენ თვალწინ იშლება ყინულით დაფარული ალპების გრძელი ჯაჭვი სენტისიდან დაწყებული დიაბლერემდი, ევროპის უმშვენიერესი დიადება. აი ტიდი, აი შავკერდიანი და ზურგ-თეთრა ვეტტერჰორნი, აი მიუკარებელი ფინსტერაარჰორნი, აი შუბლ ნაოჭებიანი მენხი, აი იუნგფრაუ, ბლიუმლიზალპი, ვილდჰორნი და ბოლოს დიაბლერე: თითქო ერთმანეთს შეეჯიბრებიან ეს დევები ცისკენ სრბოლაში. რაღაც არაჩვეულებრივს მარტოობას გრძნობ ამ ბუნების მეფეების წინაშე, მაგრამ ეს არაა ის მწვავე, მტანჯველი მარტოობა, რომელსაც ხშირად ადამიანებს შორის განიცდი და რომელიც ისე გენიოსურად გადმოგვცა თავის ნაწარმოებებში ფლობერმა. ესაა მარტოობა უკვდავი მშობლის კალთაში, ესაა ჩუმი საუბარი თავის უსაიდუმლოეს და უძლიერეს გრძნობებთან.

საკმაოა ზურგი მთებისკენ იბრუნო რომ სულ სხვა სურათი გადაგეშალოს თვალწინ; ჩრდილოეთით გაჭიმულა შვეიცარიის დაბლობი უთვალავი სოფლებით და ქალაქებით, რომელთა შორის ყველაზე კარგად კოხტა, თეთრ კედლებიანი ლუცერნი მოსჩანს, ერთი უკეკლუცესი ქალაქი დედამიწის ზურგზე. აღმოსავლეთით ტბებს ჰხედავ...

ასეთია ეს დიადი ბუნება. მის მშვენიერების აღსაწერად ყოველი სიტყვა ტლანქი და უძლურია. ადამიანს ის ღა დარჩენია, რომ თავის დახრით მოწიწება და მადლობა გამოჰხატოს უცნობი, უხილავი შემოქმედი ძალის წინაშე...

შუადღისას ტყეში ბრუნდები. ნაძვნარის ჩრდილი დასასვენებლად გიწვევს. ირგვლივ სიწყნარე და დუმილია. ფოთლებ შუა ლურჯს გუმბათს ჰხედავ. მზის სხივი ოქროს ჯავშანში ახვევს მწვერებს. ცნობიერებას ნელ-ნელა ჰკარგავ და უერთდები შეუგნებელი ბუნების თვლემას. ... გამოფხიზლებისას ამჩნევ, რომ მზე გადახრილა და მთების ჩრდილი წამოწოლილა. ჩიტები ჟრიამულებენ, შორს კი მწყემსის კრიმანჭული („იოდელ“) გაისმის და საქონლის ზარის წკარუნი. ეს ალპების თავისებური ლოცვაა...

—

შვეიცარიისთვის არაფერი არაა ისე დამახასიათებელი როგორც მისი საუცხოვო ტბები. მათი რიცხვი უთვალავია, მათი სხვა და სხვაობა პირდაპირ მიუწდომელი. ზოგი მათგანი ნაზი და კეკლუცია, როგორც მაგალითად იტალიის მოსაზღვრე დაბლობში მდებარე ლაგო, მაჯიორე და ლაგო დი ლუგანო: დაფნის, ლეღვის, ბროწეულის, ჭერამის და ლიმონის ხეებით შემკული სამოთხე. ზოგი ალაგ-ალაგ ლირიკული და მელანქოლიურია, ალაგ-ალაგ დიადი და დრამატიული, როგორც ღვთაებრივი ლემანი (ჟენევის ტბა). ზოგი დიდი და სწორნაპირებიანია როგორც ნევშატელის და ბოდენის ტბა, ხოლო ზოგი მომცრო, კლდოვანი ნაპირებით შეკრული, როგორც სამი მშვენიერი ალპიური სარკე: ფირვალშტედტის, ტუნის და ბრიენცის ტბა. მათი ტალღები უმეტეს ნაწილად მწვანეა, როცა შუადღისას ზევიდან დასცქერი და ლურჯი, როცა ნაპირებიდან უმზერ: ამასთან ერთად არაჩვეულებრივად წმინდა და კამკამი. ერთი პატარა ტბა (დაუბენზე, ვალისის ალპებში) ნაცრისფერ მომწვანოა, ხოლო მეორე (ბლაუზეე ბერნის ალპებში) ლილასავით ლურჯი და იმდენად გამჭვირვალე, რომ თეთრი კენჭები ნათლად მოსჩანან მის ფსკერზე.

ვერაფერი შეედრება ამ ტბებზე ნავით ცურაობას. განსაკუთრებით საღამოს, როცა ჩამავალი მზე და ახლად ამოსული მთვარე ერთმანეთს ეჯიბრებიან ტბის განათებაში. მთვარე ალპის სარკეში კეკლუცად იცქირება: მისი შუქი ციმციმებს წყლის ტალღებში. მზის სხივი კი ვნებიანად ეკვრება ტბის ზედაპირს და ათასფერად ჰღებავს მას, ენით გამოუთქმელია ფერთა ეს ცვალებადობა. ალაგ-ალაგ ღვინის ფერი სჭარბობს, ალაგ-ალაგ ნარინჯის და იის ფერი, უფრო კი ნაზი, ლითონისებური, ოქროსფერი ლაპლაპი. აღმოსავლეთისკენ ამ დროს ტბის დაჩრდილული ნაწილი ფოლადის ფერია.

ტბების მიდამოებში ხშირად ჰხვდები ძველის ძველ, ვიწრო სარკმლიან, სუროთ შემოსილ ციხე-კოშკს ან კიდევ რომანიული და გოტიური სტილის ეკკლესიას. გულწრფელად უნდა ვაღიარო, რომ თუმცა გოტიურს სტილს დიდად ვაფასებ, როგორც დიადი ეპოქის ესთეტიურს სახეს, მაგრამ ძველი ქართული სტილი ბევრად უფრო მომწონს. რავდენადაც პირველი დახლართულია და გადაჭარბებული დეკორაციით დამძიმებული, იმდენად მეორე ღვთაებრივად უბრალო და ძლიერია. უდიდესი მშვენიერება კი უბრალოებაში მდგომარეობს. არავითარს შენობას არ მოუხდენია ჯერჯერობით ჩემზე ისეთი ღრმა, წაუშლელი შთაბეჭდილება, როგორიც ბაგრატის ტაძრის ნაშთმა მოახდინა ქუთაისში. ნანგრევების მეტი ხომ არაფერი დარჩენილა, მაგრამ ეს ნანგრევები ჭეშმარიტად ამართლებენ ცნობილს სიტყვებს: ლომი კლანჭებით იცნობაო.

ისტორიული ნაშთებით მშვენიერი შვეიცარია ვერ შეედრება მშვენიერს საქართველოს, მაგრამ ის მას სჭარბობს თავისი ცისფერი თვალების მიმზიდველობით. ალპიური ტბა მისი უეჭველი უპირატესობაა...

მთვარიანს ღამეში ტბის ნაპირს მისდევ... ხშირი ხეივანი და ბუჩქნარი თითქმის სრულიად ჰფარავს მის ზედაპირს შენი თვალებიდან. მაგრამ კი უცებ ფოთლების კარავი თხელდება და შენ წინ იშლება მოვერცხლილი ტბა, თხელს ბურუსში გახვეული. მეორე ნაპირას ამაყი, წვერწეტი ვერხვის და მგლოვიარე, თავდახრილი ტირიფის რაზმი მოსჩანს. ამ დროს ტბა უფრო ბავშვობის ბედნიერს სიზმარს ჰგავს ვიდრე სინამდვილეს და ძალაუნებურად ხელს თვალებისკენ იწვდი, თითქო გსურს ამ სიზმრიდან გამოერკვიო...

ან შუადღისას მის ნაპირზე სწევხარ, ცხელს სილაში. ტბა სთვლემს. მისი ტალღები გამოურკვევლად ბუტბუტებენ. რაღაც ახლობელი და ნათესავური გესმის ამ ბუტბუტში, დედის ნანინასავით ტკბილი... გული იმსჭვალება დიდი, უსაზღვრო სიყვარულით...

გერონტი ქიქოძე.

---

## ტფ. ტრამვაის მუშათა გაფიცვა.

ტრამვაის დირექციის კანტორაში გამოკრულია შემდეგი განცხადება:

გამგეობის დეპეშა, რომელიც მოხსენებული იყო მოსამსახურეთა გუშინდელს ბრძანებაში, შემდეგი შინაარსისა:

გამგეობის საბჭომ თავის კრებაზე განიხილა მოსამსახურეთა მოთხოვნილებანი, რომელთა სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებლად სცნო, თუმცა გამგეობა მზადაა გამართოს მოლაპარაკება შეთანხმების მიზნით, იმ პირობით კი, თუ გაფიცვა დაუყოვნებლივ შესწყდება: მუშაობის განახლებისთანავე საბჭოს რწმუნებული დაუყოვნებლივ ჩამოვა ტფილისს მოლაპარაკების გასამართავად.

სანამ განცხადებას გამოაკრავდნენ, დირექციამ წინადადება მისცა გაფიცულებს, აერჩიათ წარმომადგენლება, რომელნიც გაეცნობოდნენ მთავარ-გამგეობიდან მოსულ დეპეშის შინაარს, მაგრამ გაფიცულებმა ერთხმად უარჰყვეს დირექციის ასეთი წინადადება.

## მუშათა ცხოვრება

**გროზნა.** ახვერდოვის და სხვების ქარხნების მუშების 25% თანხმობა განაცხადა გაფიცვის გათავებისა.

**ოდესა.** გაიფიცა 600 კაცი, უცხოეთის გემების დამტვირთველი, მოითხოვეს ქირის მომატება. ადმინისტრაციამ გადაჭრილი უარი უთხრა გაფიცულებს. ერთი დღის შემდეგ მუშაობა განახლდა. გაფიცვის გამო დაატუსაღეს რამდენიმე კაცი.

**ყაზანი.** გუბერნატორმა განიხილა სახაზინო არყის საწყობის მუშების მოთხოვნილებანი, შეუძლებლად სცნო მათი დაკმაყოფილება და გამოუცხადა მუშებს, თუ არ შეუდგებიან მუშაობას, ყველას გადაასახლებს ქალაქიდან.

**რიგა.** ელექტრონის ტრამვაის კონდუქტორებმა და ვატმანებმა თხოვნები მისცეს ტრამვაის გამგეობას, ქალაქის გამგეობას და გუბერნატორს სამსახურის პირობების გაუმჯობესობის შესახებ.

გემების მოიჯარადრების კრებამ დაადგინა ლოკაუტი გამოუცხადოს ნავთსადგურის გაფიცულ მუშებს. დასატვირთავად გამოიწვიეს ტუსაღები.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

28—29 აგვისტო.

### უცხოეთი.

**ვენა.** სიონისტთა მეთერთმეტე კრება დასრულდა. კრებამ აირჩია კომისია იერუსალიმში უნივერსიტეტის დასაარსებლად.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო კატეგორიულად უარყოფს გაზეთების ცნობას, თითქოს ბულგარეთი საფრანგეთისაგან ხუთასი მილიონის ვალის აღებას აპირებდეს და ფრანგი ბანკირების ბულგარეთში კონტროლის შემოღებას მოითხოვენ.

**ამსტერდამი.** ცეცხლი ჩააქრეს. ჩაქრობის დროს დაშავდა სამი ცეცხლის მქრობელი.

**ბელგრადი.** გამოცხადდა მეფის მანიფესტი, რომლითაც განსაზღვრულია საზღვრები ბულგარეთთან, ალბანეთთან, ჩერნოგორიასთან და ბოსნია-ჰერცოგოვინასთან. ბოსნია-ჰერცოგოვინასთან საზღვარი ძველი დარჩა.

**ურგა.** სურსათის გაძვირებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მცხოვრებლებში. ხალხი უკმაყოფილოა ჩინეთისაგან გამოყოფით.

**ლეიპციგი.** დირიჟაბლი ზეტი ძლიერი ქარის გამო ჩამოვარდა. დირიჟაბლში 4 ჯარის კაცი იყო. ორი სასიკვდილოდ დაშავდა.

**მელბურნი.** ქალაქის თავმა სადილზე ქალაქის სახლში მეფის სადღეგრძელო იუარა. განაცხადა: მე რესპუბლიკელი ვარო. პრემიერ-მინისტრმა გაჰკიცხა ქალაქის თავის საქციელი. პარლამენტმა ერთხმად მიიღო პრემიერის რეზოლუცია. ქალაქის თავი პარლამენტის წევრიც არის.

**ლაკურტინO** პუანკარემ, როდესაც ჰაეროსტატის ცეპელინის დაღუპვის ამბავი გაიგო, იმპერატორ ვილჰელმს თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა.

**ვენა.** ორი დღის განმავლობაში 18 კაცი გახდა ავად ხოლერით. ერთი გარდაიცვალა.

**დელიბატიე** (უნგრეთშია) ოთხი კაცი გარდაიცვალა ხოლერით.

**ათინა.** ათინის სააგენტო იუწყება რომ საზოგადოება ძლიერ დაინტერესებულია კონსტანტინე მეფის მიერ იმპერატორ ვილჰელმის საპასუხოთ წარმოთქმულ სიტყვით. საბერძნეთი არას დროს არ დაივიწყებს საფრანგეთის ღვაწლს. მეფემ მხოლოდ საღენერალო შტაბის თაობაზე ილაპარაკა, რომელმაც განათლება გერმანიაში მიიღო. საზოგადოება ძლიერ არის მოწადინებული, რომ ყოველივე ბურუსი გაიფანტოს, რადგან საფრანგეთი არ ჰქონიათ მხედველობაში.

**ტოკიო.** ჩინეთს წარუდგინა კატეგორიული მოთხოვნანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ვენა.** ოპორჩეაში ორი ხოლერიანი აღმოჩნდა.

**სოფია.** აყარებული ხალხი გამორბის იმ ადგილებიდან, რომელიც საბერძნეთს მიეკუთვნა. ხალხი მეტ წილად მელნიკსა და ნევროკოპში მოდის.

**გელგოლანდი.** დირიჟაბლის დალუპვის დროს გადაარჩინეს შვიდი, 13 დაიხრჩო. უკანასკნელთა შორის არის კაპიტანი მეტცინგი, ლეიტენანტი ხანნე და თვითონ მფრინავი.

**თავრიზი.** შიმშილისა გამო დიდი უკმაყოფილებაა.

**სტამბოლი.** ენვერ-ბეი გაემგზავრა ადრიანოპოლში. მას ინსტრუქციები მიაქვს გიუმიულჯინში დროებითი მთავრობის შემოღების თაობაზე.

ჩამოვიდა ათინელი დელეგატი რეშიდ-ბეი, რომელმაც ვეზირს საბერძნეთის მთავრობის წინადადება გადასცა. მთავრობა მოკლე ხანში განიხილავს ამ წინადადებას, ამ ჟამად მთავრობა ბულგარეთის წინადადებას განიხილავს ევაკუაციის თაობაზე.

**ტოკიო.** გაიმართა მრავალრიცხოვანი მიტინგი. ხალხი მოითხოვს ჯარის გაგზავნას ან კაბინეტის გადადგომას.

**ბუდაპესტი.** ხოლერით ავად გახდა 7 კაცი.

**ლვოვი.** რკინის გზის გამგეობამ აღკვეთა პირდაპირი მგზავრობა ვაგონებისა ბუდაპესტსა და ლვოვს შორის. ქალაქი ენერგიულ ზომებს იღებს.

**პარიზი.** პიშონმა მიიღო საბერძნეთის წარმომადგენელი. წარმომადგენელმა განაცხადა, საბერძნეთი ვერ დაივიწყებს საფრანგეთის ღვაწლს და ეცდება ყოველივე გაუგებრობა მოსპოსო.

**ბუდაპესტი.** პროვინციაში ხოლერით ავად გახდა 20 კაცი.

**ბელგრადი.** აქ უნდა ჩამოვიდეს საფრანგეთის ბანკების წარმომადგენელი; სერბიას ჰსურს 125 მილიონიანი სესხი აიღოს ხარჯების დასაფარავად და შემოერთებულ პროვინციების მოსაწყობად.

**სტამბოლი.** ოსმალების და ბულგარელების დელეგატთა კრება შაბათისთვის გადაიდო. ბულგარელი დელეგატები ელოდებიან ინსტრუქციებს სოფიიდან. ოსმალები მოითხოვენ სოფლისა და სრტაკიოის დაბრუნებას, სავოვმა ინახულა დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლები. რადგან ბერძნები ბევრს რამეში უთმობენ, შესაძლებელია მოკლე ხანში ხელშეკრულების დადება მოხდეს.

**სკოპლე.** ალბანეთის საზღვართან პრიზრენის ოლქში ალბანელები თავს ესხმიან სერბიელების მიერ დაჭერილ ადგილებს. ალბანეთის მთავრობა აცხადებს, დიდად წინააღმდეგი ვართ ასეთი თავდასხმისაო. თავდამსხმელებს განზრახვა აქვთ ალბანელებში აჯანყება გამოიწვიონ.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო უარყოფს ხმებს, თითქოს ოსმალეთის მთავრობის თვალთაზრისს ინაწილებდეს ადრიანოპოლისა და კირკილისეს საკითხში, რათა კავალა და მონასტრი დაიბრუნოს.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთ „დენ“-ის მე-231 ნომერი სტატიისათვის: „ახალი ამბავი ლიტერატურაში. ჩერნიშევსკის პროცესი“.

სახელმწიფო განათლების სამინისტრომ წარადგინა ანგარიში: ხარჯი გადიდებულია წარსულ წელთან შედარებით 18,891,107 მანეთით. აქედან დაბალ სკოლებს ეძლევათ 15,613,471 მ., საშუალოს 1,939,130 მ. და უმაღლესს 441,566 მ.

**ტულა.** ავტომობილთა შეჯიბრების მონაწილენი მოვიდნენ 1 ს. და 30 წ. და შემდეგ განაგრძეს გზა.

**რიგა.** მაიენგორფში ცეცხლი მოედო დიდ რაიონს. დაიწვა სააავადმყოფო, კინემატოგრაფი, სასტუმრო და სავაჭრო სახლები. ზარალი ნახევარ მილიონს უდრის. ცეცხლი ჩააქრეს.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ მოიწონა შემდეგი კანონ-პროექტები სათათბიროში შესატანად: ბეჭდვითი სიტყვისა, ნახევარი მილიონის გადადების თაობაზე მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოების ხელში, 1914 წლიდან ქალაქის და სოფლის სამღვდელოებისთვის დამატებით 1.650,000 მანეთის გადადების თაობაზე და 900,000 მანეთის სამრევლო სკოლის მასწავლებელთა ჯამაგირად.

გარეშე საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს მოლაპარაკება აქვთ გამართული ინგლისთან, დანიასთან და ბელგიასთან საავტორო უფლების კონვენციის დადების თაობაზე. კონვენცია იქნება გერმანიასთან დადებულის მსგავსი. ასეთი პირობის დადებას აპირობენ იტალიასთანაც.

სახალხო განათლების მინისტრი საზღვარ-გარედ გაემგზავრა. მის მაგიერობას ტაუბე გასწევს.

**მოსკოვი.** დაიჭირეს მესამე ნომერი „მუშების გაზეთისა“. რედაქტორს სამართალში აძლევენ.

**პეტერბურგი.** სამხედრო საბჭომ დაადგინა ძალაში იყვეს კანონი ჯამაგირის მიმატების თაობაზე ვარშავის, ვილნოსა და კავკასიის ოლქებში, ვიდრე აღნიშნულ ადგილებში შემოიღებდნენ წესს საბინო ვალდებულებისას.

**ოდესა.** გაფიცვისთვის წაქეზებისთვის ქალაქის უფროსმა ოთხი კაცი ორი თვით დაატუსაღა.

**კიევი.** საგუბერნიო ერობათა წარმომადგენელთა კრებამ შუამდგომლობა აღძრა, რათა კიევში 10 მაისის 1914 წლისთვის გაიმართოს კრება ერობათა ფინანსების გაუმჯობესობის თაობაზე მოსალაპარაკებლად.

**მოსკოვი.** დაიჭირეს მე-4 ნომერი მუშების გაზეთის „ჩვენი გზისა“. რედაქტორს სამართალში აძლევენ.

**პეტერბურგი.** გამოაქვეყნეს ხოლმის გუბერნიის საზღვრები.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც დახმარება გამიწიეს ჩემ მიერ ამ ზაფხულზე გამართულ სამ წარმოდგენის მოწყობის საქმეში ს. დიდიჯიხაიში. სცენის მოყვარეთ: ქ.ქ. ნ. ლოლობერიძისას, თ. ქუთათელაძისას, ნ. ჩხეიძისას, ლ. ბიბილეიშვილის ასულს, ქ. ლეჟავას, ვ. დევიძეს და ნ. ლეჟავას; ბ.ბ. ილ. ქუთათელაძეს, შალვა, აკაკი და სიმონ ჩხეიძეებს, ლ. ჭილაძეს, ტრ. შუბლაძეს, კ. სოსელიას ნ. ბიბილეიშვილს, ივ. ცქიტიშვილს, ირ. ლორთქიფანიძეს, ვ. ვაშაკიძეს, აკ. კაჭახიძეს, ს. ნიჟარაძეს, ს. ლორთქიფანიძეს და ლ. დარსაველიძეს. აგრეთვე: ქ-ნს ჭილაძისას და ბ.ბ. ი. ლორთქიფანიძეს, ს. ლოლობერიძეს, იას. ჯორბინაძეს, ვალ. ქ. ლორთქიფანიძეს, პ. ლორთქიფანიძეს და ნუცუბიძეს.

სამივე წარმოდგენაზე შემოვიდა 275 მანეთი 52 კ. დაიხარჯა 154 მანეთი და 29 კაპ., დარჩა 121 მანეთი და 23 კაპ. რომელი თანხაც გადადებულია სათეატრო დეკორაციის შესაძენად.

გამგე **მარიამ ალექსანდრეს ასული ლორთქიფანიძისა.**

---

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით ულრმესი მადლობა გამოვუცხადო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქციას, რომელმაც ჩემდამი რწმუნებულ სასწავლებელს არჩილ ჯორჯაძის სახსოვრად უფასოდ დაუთმო ჟურნალი 1913 წლის განმავლობაში.

თელავის სამინისტრო სკოლის გამგე **კნ ა. ჭავჭავაძისა.**

---

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგს:

დიდ მადლობას ვუძღვნი ჩემის კრებულით მანგლისში მცხოვრებს მოვაჭრეს ბ. გრიგოლ ნიკოლოზის ძეს გულვარდოვს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემდამი რწმუნებულ მათხოჯის წმ. ნინოს დედათა მონასტერს წყლის გამოსაყვანად ხუთი თუმანი, რომელიც გადმომცა იმერეთის ეპისკოპ. ყოვლად სამღვდელო კიორ-გიმ. იმედი მაქვს სხვანიც მიბაძავენ ბ. გულვარდოვის მაგალითს და არ დაიშურებენ თავის წვლილს ზემო აღნიშნულ მიზნისათვის.

მათხოჯის წმ. ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარი **ანასტასია.**

---

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით ულრმესის მადლობა გამოუცხადო ქვემო აღნიშნულ პირთ, რომელთაც არ დაიშურეს თვისი წვლილი კეთილი საქმისთვის და საშუალება მომცეს კაწარეთის ოდესმე დიდებული წმ. სამების საკათედრო ტაძრის გასამშვენებლად.

შემომწირველთა სია: მღვდელმა დიმიტრი ვარდიაშვილმა, სახსენებლად სულისა განსვენებულის თვისი მამისა დეკანოზის ნიკოლოზ ისააკის ძ ს ვარდიაშვილისა შემოსწირა თხუთმეტი თუმანი. **თითო თუმანი**—დ. ნახუცრიშვილმა, ა. ძიგვილოძმა, გენერლებმა ჩილიაევმა, ა. ჩივაძემ. **ხუთ-ხუთი მანეთი:** არქიმანდრიტმა სტეფნეამ, შანიამ პაპავასამ, ო. გამზარდიამ. **სამ სამი მანეთი:** მღვდელ მონაზონმა კირილემ, პ. მირიანაშვილმა, მღ. ვ. კარპელაშვილმა, ვ. პაპავამ, **ორი მანეთი:** დეკ. კ. კეკელიძემ, **თითო მანეთი:** ნ. პარესლენმა, მ. ჯანაშვილმა, ფ. კარასიმ, მ. გარსიაშვილისამ, კ. ჩხენკელმა, ი. არსენიშვილმა, ნ. თუთბერიძემ, ვ. სიჩინავამ, ი. მეძმარიაშვილმა, ა. გუგუნავამ, მ. ბახტაძემ, ი. არდიშვილმა, კ. გეორგობიანმა, **თვრამეტი შაური:** შუქურ თახმას-ოღლიმ **ათ-ათი შაური:** ო. გვარამაძემ, ზ მირზანაშვილმა, გ. შალახოვმა, ს. ნიკვრაძემ, ასადურა ბ.გირ-ოღლიმ, ვ. მეძმარიაშვილმა, ვ. მიტინინმა, კ. ყურაშვილმა, მ. დოლბაიამ, ბ. გიორგაძემ, ე. გუგუნავამ, თ. ურდიამ, მღვდ. გამზარდიამ, ვ. გეგეჩყორმა, გ. ლოლებერიძემ, ბ. ლოლობერიძისამ, ბ. ტურჩინმა. **ორი აბაზი** ს. ტურაშვილმა. **ექვს ექვსი შაური:** ქ. კელენიკოვმა, ე. სავანელმა, **ოცდა ექვსი კაპეიკი.**—ი. მირზოევმა. **ხუთ-ხუთი შაური:** [illegible] ალიკული-ოღლიმ, ბ. ბესიაშვილმა, ნ. ნადარეიშვილმა, **თითო აბაზი:** ო. გვარამაძემ, პ. ტრუხმა, გ. ფეცქიალაძემ, ს. შარაშენიძემ, ა. კუშნილმა, ვ. ბარბაქაძემ, ვ. ბექიამ. სულ 144 მან. 81 კაპ.

**არქიმანდრიტი ნაზარიოსი.**

## არჩილ ჯორჯაძის ძეგლისათვის

ბ-ნო რედაქტორო! გიგზავნით ჩვენ მიერ ხონში შეგროვილს 27 მ. და 60 კ. საუკეთესო ქართველის არჩილ ჯორჯაძის ძეგლისთვის.

სია შემომწირველთა: მ. ჭელიძე 1 მ., ვალ. მებუკე 1 მ., ს. ზერაგია 50 კ., ს. ჩიქოვანი 1 მ., ს. გლუშაკოვისა 2 მ., მ. ქუთათელაძე 1 მ., გ. ბერიძე 50 კ., მ. ბახტაძე 3 მ., ა. ჯაყელი 1 მ., ს. გოროზია 50 კ., ე. ჭავჭანიძე 50 კ., ი. ქუთათელაძე 1 მ. ლ. სანოძე 1 მ., ი. მამალაძე 1 მან., ი. ხაჭაპურიძე 50 კ., ა. კაკაბაძე 1 მ., ი. სალარაძე 50 კ., ე. აბაშიძე 50 კ., ი. ჩომახიძე 50 კ., ლ. ჩიმაკაძე 1 მ., მ. ჭავჭანიძე 1 მ., მღ. გ. ხაჟომია 1 მ., ს. ჩხენკელი 1 მან., ა. ხარაბაძე 1 მ., გრ. ბახტაძე 50 კ., ვ. თარგამაძე 50 კ., № 50 კ., ლ. რ.ეხაძე 10 კ., ალ. ნიჟარაძე 50 კ., კ. ცუერეიშვილი 50 კ., კ. კაკაბაძე 50 კ.. ი. გრიგოლაშვილი 50 კ., ბ. ნადარეიშვილი 1 მ.

**მ. ჭელიძე.**

---

გაახლებთ რა ამასთანავე 11 მან. გთხოვთ გადასცეთ არჩილ ჯორჯაძის ძეგლის სასარგებლოდ, შეგროვილს კახეთის და სარიყამიშის რკინის გზის მსახურთა შორის:

გიორგი როსტომის ძე ბურიძე 3 მ., გ. საყვარელიძე 1 მ., გ. ჭკუასელი 1 მ., № 50 კ., ა. ბასილაია 1 მ., ლ. ლოლობერიძე 50 კ., ი. ავალიშვილი 1 მან., ვლ. ყიფიანი 3 მან. სულ 11 მან.

**ვლ. ყიფიანი.**

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.**

## მატარებელთა მიმოსვლა (ზაფხულობით)

18 აპრილიდან

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

### ტფილისიდან გადის.

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** სღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** სად. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადმზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3 **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **საზ.** დილ. 8 ს. 2 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**მცხეთაში:** № 65, **საზაფხულო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67,ბ **საზ.** ნაშუადღ. 2 ს. 43წ.

ეს მატარებლები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიაც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. და № 67 სად. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4;3, **შუადღ.** 12 ს. 51 წ.

**ყარსისკენ:** **საზ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24;23, **საბარგ.-სამგზ.** სად, 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

### ტფილისში მოდის:

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, საშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო**—პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, სად. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** სად. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** სად. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.


## ვკისრულობთ:

**თარგმნას** სიტყვა-კაზმულისა და სხვა დარგის ნაწარმოებისას და აგრეთვე ყოველგვარ საბუთის ქაღალდებისას.

**კორექტურას** ქართულად გამოსაცემ წიგნებისას.

**შესწორებას** დასაბეჭდად განზრახულ ხელნაწერებისას.

**გამოცემას** წიგნებისას ავტორთა ხარჯით.

პირობებზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე პირადად ამ მისამართით: **ტფილისი**, მუხრანის ქუჩა, „**შრომის**“ სტამბის გვერდით, სახლი № 12. ნაშუადღევის 2 საათიდან 7 საათამდე, ხოლო დილის 9—1 საათამდე ბინაზე: ვაკე, ქართულ გიმნაზიის პირდაპირ, სახლი გაჟონიისი. ტელეფ. 9-25.

**ბაბილინა და ნ. (ნარ-კანი) კურდღელაშვილები.**

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

**„606“ და „914“**

**11—12 ს. შეზხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აგეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. გ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**ქ დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვაილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. სალამოობით 6-7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. აგეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

## ვასწავლი

ქართულ „**სიმღერა-გალობას**“ და ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს გუნდისთვის. მუდმივ გუნდის მიწვევა ეკლესიებში, კონცერტებზე, პირობის გაგება, მოლაპარაკება, მიღება და ჩაწერა **მიხეილ კავსაძესთან** კვირაობით 3—5 საათამდე. ოთხშაბ. და შაბათობ. სად. 5—7 ს-მდე. ივერიის ქუჩა № 29. ვიღებ და ვასწავლი **მუშა-ხალხსაც** ვიწვევ მგალობლებს **ანჩისხატის საკრებულო ტაძარში** და კალოუბნის ეკლესიაში სადაც კვირა-უქმეებში მუდმივ გალობს გუნდი. 1448

## მასწავლებელი სიმ. ა. გრიაზნოვი

ამზადებს ვაჟთა და ქალთა გიმნაზიისა, რეალურ და კომერციული სასწავლებლის ყველა კლასისათვის, სამასწავლებლო ინსტიტუტში, მიწის მზომელთა და სამხედრო სასწავლებელში, სამასწავლებლო ხარისხზე, სააფთიაქო შეგ რდის და სხვა. იყვანს სრულს ხარჯზე.

ადრესი.: ვერა, იზმაილოვის მისახვევი სახ. 6. ბინა 8. 584.

## საბუჰგალტრო კურსები გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა

ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. სალამოთი. 1416

## „ქართველ მწერლებს“

ვინც გამოიწერს წერა-კითხვის საზოგადოების

მაღაზიიდან დაეთმობა 20% 1446

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**ქართველი მწერლების შემდეგი ლექსები და პოემები:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბ რ.თაშვილის ლექსები | 40 კ. | ორბელიანი გრ. ლექსები, | 20 ,, |
| ბარანა დიაკვნიანი | 20 ,, | ,, ვახტანგი, | 60 ,, |
| ბე იკი. ლექსები, სიტყ.-კაზ. გამოც | 1 მ. | ,, ნინო, | 30 ,, |
| განდეგილი ლექსები, | 50 ,, | რაზიკაშვილი ნ. დაბადება და აღზრდა ერეკლე მეფისა, | 15 ,, |
| გრიშაშვილი ოცნების კოცნა, | 10 ,, | სილოვანი, ჩემი აზრი და ფიქრები № 1, | 20 ,, |
| გურამიშვილი. დავითიანი, | 1 მ. | ,, ცხოვრ. სურათები, № 2, | 20 ,, |
| დუტუ მეგრელი, | 70 ,, | ,, აღსარება, № 3, | 5 ,, |
| ,, მწარე ფიქრები, | 20 ,, | ,, ლექსები 1879—1891 | 50 ,, |
| ევდოშვილი. | 60 ,, | ,, სიმები, | 5 ,, |
| ერისთავი რაფ., ტ. 1-ლი, | 1 მ. | ქართ. პოეტ. რჩეულ. ლექსები, | 25 ,, |
| ,, ტ. 2 ე, | 40 ,, | ჩიხრუხაძე. ქნარი, | 20 ,, |
| ვეფხის ტყაოსანი, | 60 ,, | შანშიაშვილი. შვების თავადი, | 60 ,, |
| ვაჟა-ფშაველა, | 1 მ. | ,, ქება-ქებათა და სულამიტ. | 10 ,, |
| ,, ახუნდი, | 5 ,, | ცის-სარტყელა, სალიტ. კრებული, | 15 ,, |
| ,, ბახტრიონი, | 20 ,, | | |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1217

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

## საკომერციო ცოდნათა კურსები ც. მ. ფილოსიანისა,

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, **ტელეფ. № 976.**

**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**

პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც P.tman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:

**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო დ საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკურ-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაკტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.

მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება 15 **ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

## თ. ა. მთავრიშვილის წიგნის მაღაზია

ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი

## სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,

რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებლებში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**

მსურველთ შეუძლიათ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტრები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულების ქვეშ მყოფი

## ბუჰგალტერიის პრაქტიკული კურსები ი. თ. პალატნიკოვისა.

თხოვნების მიღება და მსმენელთა ჩაწერა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვიდან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღჰალტერიისა და კორესპ. ნ. სამუშაოდ. კურსებზე შესული საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ., სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2) კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ. ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 9) რუსული ენა, 10) ანგარიში, 11) **უცხო ენები:** ფრანგ. და გერმან., 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

**უფლებიანი** **საჰაჭრო სკოლა** **უფლებიანი**

## და საბუჰგალტერო კურსები ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.

მისაღები და დამატებითი გამოცდა **28 და 31 აგვისტოს.** მისაღებთა რიცხვი განსაზღვრულია (ერთ კლასში არა უმეტეს 24 შეგირდისა). მეცადინეობის დასაწყისი სკოლაში 24 სექტემბერს, კურსებზე 16 სექტემბერს. **მიხეილის პროს. № 53.** 562



## 95 კაპეიკად

**განცვიფრებაში მოჰყავს ყველა საოჯახო სათვალთმაქცო წიგნაკს!**



ამ წიგნაკის საშუალებით ყველას შეუძლიან სხვისი აზრი გაიგოს, გამოიწვიოს აჩრდილი, შეიტყოს ვის ვინ უყვარს, ვის რა ჰქვიან. გადააქციოს ჯოხი გველად, ხოლო წყალი—ღვინოდ. მოჯვობის საიდუმლო უკვე ახსნილია. ფარდა აწ უკვე ახდილია და ეხლა შეგიძლიანთ აიღოთ ტიტველა ხელში გახურებული რკინა; ენაში გაიყაროთ ლურსმანი; გაიტაროთ გვამშიგ რძელი ხმალი; აჩვენოთ მოჭრილი მოლაპარაკე თავი და თქვენი თავის უვნებლად გარდაქმნა. ხელოვნება, თუ როგორ გააკეთოთ ფული წყლისაგან, შეგიძლიანთ გაავსოთ ერთ წამში ოთახი წყლითა ან და ნისლით და ბევრი სხვა გასაოცარი თვალთმაქცობა ჩაიდინოთ. თვალთმაქცობის შესრულების დროს ყოველი სახლი შეგიძლიანთ აქციოთ ნაზრახ კომკად. ფასი 95 კაპ. გამოგზავნება ფასდადებითაც. გამოგზავნისათვის და ფასდადებისათვის გადასახდელი იქნება 25 კ. ერიდეთ სიყალბეს! ახალი გამოცემა ბევრად შესწორებულია, **272 გვერდი** და მრავალი სურათი.

М. 45736. **მისამართი:** Т—во „Заря“, Варшава, отд. 95. 1437

## მუდამ ღღე მოგვლის თევზის მრეწველნი ძმ. ძეგველოვები.

**ახალ-ახალი** მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.

**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** (ქვიშკა).

აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დღეში, იანი, ჭიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თევზეულობა და კონსერვები.**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**

**ტელეფონი № 712.**


მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.